ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

თამარ სამხარაძე

რუსეთის ქმედებები მოსაზღვრე სახელმწიფოების ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივების საპასუხოდ: ბალტიის ქვეყნებისა და საქართველო-უკრაინის ქეისები

ნაშრომი წარმოდგენილია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, თორნიკე თურმანიძე

თბილისი

2019

ანოტაცია

რუსეთის ქმედებები მოსაზღვრე სახელმწიფოების ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივების საპასუხოდ: ბალტიის ქვეყნებისა და საქართველო-უკრაინის ქეისები

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს რუსეთის ფედერაციის ქმედებებს მოსაზღვრე სახელმწიფოების ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივების საპასუხოდ და მიზნად ისახავს, წარმოადგინოს შესაძლო მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გამოიყენა კრემლმა სამხედრო ძალა ბალტიის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების საპასუხოდ ან ამ პროცესის აღკვეთის მიზნით.

საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ მოსკოვის მიერ განხორციელებულ აგრესიაზე საკმაოდ ბევრი ლიტერატურაა დაწერილი, თუმცა არ დასმულა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დატოვა ბალტიის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაცია რუსეთმა უპასუხოდ. მით უმეტეს, არც ერთ მკვლევარს არ შეუდარებია ეს სახელმწიფოები ერთმანეთთან ამ კუთხით.

ნაშრომის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. იგულისხმება შემთხვევების შედარებითი ანალიზი, ხოლო საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის ახსნა ეფუძნება რეალიზმის თეორიულ სკოლასა და შვედი მკვლევარის, სვანტე კორნელის თეზისს, რომლის მიხედვით, ქვეყანაში ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა ზრდის მესამე მხარის ჩარევის რისკს.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოსა და უკრაინაში ავტონომიური ერთეულების არსებობა კრემლის მხრიდან გამოყენებული იყო შიდა კონფლიქტების ხელშემწყობ და მისი აგრესიული ქმედებების ლეგიტიმაციის მექანიზმად. როგორც წესი, რუსეთი ავტონომიურ რეგიონებში აპელირებს ნაციონალისტური ნარატივით, აღვივებს შუღლსა და მტრობას ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. ხოლო ავტონომიური წარმონაქმნის არარსებობის პირობებში ბალტიის ქვეყნებში ეთნიკურად რუსი მოსახლეობის/რუსულენოვანი ჯგუფების მობილიზება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ კრემლმა არამომგებიანად ჩათვალა.

Tamar Samkharadze – "Russia's activities in response to the prospects of integration of the neighboring states into NATO: Baltic States and Georgia-Ukraine Cases"

Abstract

This research examines the actions of the Russian Federation in response to the prospects of integration of neighboring countries into NATO, and aims at presenting a possible reason why the Kremlin has not used military force in response to Baltic States NATO membership; or to prevent this process.

There is a lot of literature on Moscow's aggression against Georgia and Ukraine, but no one has ever answered the question of why the integration of Baltic States into NATO countered no aggressive actions from the Kremlin's perspective. Moreover, none of the researchers have ever compared these states in this regard.

For the purposes of the research, qualitative research methods have been used. The hypothesis has been tested based on the theory of realism and the thesis of the Swedish researcher Svante Cornell. He argued that the existence of autonomous formations in the countries increases risk of third parties interference.

Conclusion states that the autonomous units in Georgia and Ukraine were used by the Kremlin as tools to facilitate internal conflicts and to legitimize its aggressive actions/involvement. As a rule, Russia appeals to nationalist narrative in the autonomous regions, raising hostility between ethnic minorities and the rest of the population. In light of absence of automous entities in the Baltic Region, the Kremlin considered it unprofitable to mobilize ethnic Russian/Russian-speaking groups in the Baltic States.

სარჩევი

თავი 1. შესავალი 5
თავი 1.1 ისტორიული მიმოხილვა და თემის აქტუალურობა 5
თავი 1.2 კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა 7
თავი 1.2.1 შერჩეული შემთხვევების შედარებითობა 10
თავი 1.2.2 თეორიული ჩარჩო 14
თავი 1.3 ლიტერატურის მიმოხილვა 18
თავი 2. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და მისი რეაქციები ნატო-ს გაფართოების ტალღებზე 21
თავი 2.1 რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიური საფუძველი 21
თავი 2.2 რუსეთის რეაქციები ნატოს გაფართოებაზე 22
თავი 2.3 რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტები 27
თავი 3. ბალტიის სახელმწიფოები და რუსეთის ინტერესები რეგიონში 30
თავი 3.1 ბალტიის ქვეყნები უსაფრთხოების კონცეფციის ძიებაში 31
თავი 3.2 ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ინტეგრაცია საზოგადოებაში 33
თავი 4. რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ 37
თავი 4.1 საქართველოს მნიშვნელობა და რუსეთ-საქართველოს ომი 37
თავი 4.2 უკრაინის მნიშვნელობა და აგრესია უკრაინის წინააღმდეგ 42
თავი 5. ალტერნატიული ჰიპოთეზები 47
თავი 6. რუსეთის საგარეო პოლიტიკა რეალიზმის ჭრილში 53
თავი 6.1 სვანტე კორნელის თეზისი და კრემლის პოლიტიკა 54
თავი 7. დასკვნა 58
გამოყენებული ლიტერატურა 61
დანართი N1 66

თავი 1. შესავალი

თავი 1.1 ისტორიული მიმოხილვა და თემის აქტუალურობა

მეოცე საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სოციალისტური ბანაკის ყოფილი სახელმწიფოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიწყო ფიქრი დასავლურ ინტეგრაციაზე და ამ მიმართულებით მათ არსებითი ნაბიჯებიც გადადგეს. მათ იზიდავდა ევროკავშირისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ უზრუნველყოფილი სიკეთეები და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, ხოლო ყოფილ „პატრონ"-რუსეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ბევრმა მათგანმა ხელი აიღო.

სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად გათავისუფლებული სახელმწიფოები ნატო-ს მათი სტაბილურობისა და დემოკრატიის განვითარების საყრდენად განიხილავდნენ. თავის მხრივ, ალიანსმა გზა ორგანიზაციასთან სრული თანამშრომლობისაკენ ღიად გამოცხადდა მათთვის, ვინც გადაწყვეტდა გაყოლოდა მას (ე. წ. ღია კარების პოლიტიკა). ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია 1999 წელს უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის, 2004 წელს ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვას, რუმინეთის, სლოვაკეთისა და სლოვენიის, 2009 წელს ალბანეთისა და ხორვატის, ხოლო 2017 წელს მონტენეგროს გაწევრიანება ნატო-ში. ამ მხრივ, გაწევრიანების საკუთარ ჯერს ელოდებიან ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა წევრები-ბოსნისა და ჰერცეგოვინა, საქართველო, უკრაინა- და მაკედონიის ჩრდილოეთ რესპუბლიკა.

ხშირად რუსი მაღალჩინოსნები აპელირებენ მიხეილ გორბაჩოვის სიტყვებით, რომ თითქოს დასავლეთმა დაარღვია პირობა, რომლის მიხედვით, ნატო-ს გაფართოება აღარ გაგრძელდებოდა (Rand Corporation, 2017, p. 29). ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებას კრემლი განიხილავდა მოსკოვის გეოპოლიტიკური ინტერესების ხელყოფად, ექსკლუზიური გავლენის სფეროში დასავლეთის შეჭრად და საფრთხედ მისი იდენტობისა და ისტორიული ნარატივისათვის (Zevelev, 2016, p. 4). 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე თავის გამოსვლაში პუტინმა განაცხადა, რომ ნატო-ს გაფართოება ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას კი არ ემსახურება, არამედ წარმოადგენს მაპროვოცირებელ ფაქტორს. მისი თქმით, ნატო არ არის უნივერსალური

ორგანიზაცია, არამედ ის წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, რომელიც განალაგებს თავის სამხედრო ინფრასტრუქტურას რუსეთის საზღვრებთან ახლოს-ეს კი ხელს უწყობს მხარეებს შორის უნდობლობის გაღვივებას (Путин, 2007).

რუსი მაღალჩინოსნები საკმაოდ ნეგატიურად ეხმიანებოდნენ ნატო-ს ძალების რუსეთის სახელმწიფო საზღვრებთან დაახლოვების, მათ ენაზე კი „ექსპანსიურ" პროცესებს. თუმცა, რუსეთის საპასუხო მოქმედებები ამ მოვლენების მიმართ სხვადასხვაგვარი იყო. 1999 წელს ყოფილი ვარშავის პაქტის სამი სახელმწიფოს გაწევრიანება ნატო-ში განსაკუთრებულად რთულად იქნა გადატანილი რუსეთის მმართველი ელიტის მიერ, რადგან ეს მოვლენა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ალიანსის გაფართოების პირველ ტალღას წარმოადგენდა, თუმცა, მოსკოვს არანაირი ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ პროცესის აღკვეთის მიზნით. იგივე განმეორდა 2004, 2009 და 2017 წლებშიც.

აღსანიშნავია 2008 წელი, როდესაც კრემლმა სამხედრო ძალა გამოიყენა სუვერენული სახელმწიფოს, საქართველოს წინააღმდეგ, რომელმაც მიზნად დაისახა ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება. აგვისტოს ინტერვენცია წარმოადგენდა მოსკოვის მოქმედებას 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომლის თანახმად, საქართველო და უკრაინა მომავალში აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები (Bucharest Summit Declaration, 2008). მოგვიანებით კი 2014 წლის მარტში რუსეთის ფედერაციამ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, უკანონოდ ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, და სათავეში ჩაუდგა სისხლისმღვრელ სეპარატისტულ მოძრაობას აღმოსავლეთ უკრაინაში, რომელიც უკვე ხუთი წელია მიმდინარეობს[1].

მიუხედავად მისი სტრატეგიული ინტერესებისა, როგორც ჩანს, რუსეთი ინდივიდუალურად უდგება მის სამეზობლოში დასავლეთთან მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებს. ერთი მხრივ, რუსეთი შეპყრობილია სურვილით, დაიბრუნოს საბჭოთა კავშირის/რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად დაკარგული ტერიტორიები და გავლენის სფეროები და, აგრეთვე, აღიარებულ იქნას ძლიერ სახელმწიფოდ, რომლის

1 ოფიციალურად რუსეთი არ აღიარებს მისი რეგულარული ჯარის შენაერთების ჩართულობას აღმოსავლეთ უკრაინაში.

ეროვნული ინტერესები გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ასპარეზზე (HALTIWANGER, 2017). თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ გავხდით კრემლის არაერთგვაროვანი საპასუხო მოქმედებების მომსწრენი მისთვის მნიშვნელოვან რეგიონში.

რევიზიონისტული სახელმწიფოებიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათ მიერ არსებული საერთაშორისო წესრიგის შეცვლის მცდელობების გათვალისწინებით, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, გაანალიზებულ იქნას ერთ-ერთი ყველაზე არაპროგნოზირებადი სახელმწიფოს-რუსეთის მოტივები მის სამეზობლოსა და ინტერესის სფეროში. საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ მოსკოვის მიერ განხორციელებულ აგრესიაზე საკმაოდ ბევრი ლიტერატურაა გამოქვეყნებული, თუმცა არ დასმულა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დატოვა ბალტიის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაცია რუსეთმა უპასუხოდ. მით უმეტეს, არც ერთ მკვლევარს არ შეუდარებია ეს სახელმწიფოები ერთმანეთთან ამ კუთხით. ჩემი აზრით, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა, წარმოადგენს კონტრიბუციას შვედი მკვლევარის სვანტე კორნელის თეზისისთვის, რომელზეც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ განხილული საკითხმა და ანალიზმა შესაძლებელია მეტად დააინტერესოს ამ სფეროს მკვლევრები.

თავი 1.2 კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა

თუკი აღმოსავლეთით ნატო-ს გაფართოება წარმოადგენს საფრთხეს რუსეთის ფედერაციისთვის, მაშინ რატომ განარჩევს მოსკოვი გაფართოების ტალღებს/გაფართოების პერსპექტივებს [2] ერთმანეთისაგან? წინამდებარე ნაშრომის ***საკვლევ შეკითხვას*** წარმოადგენს ის, თუ რატომ გადაწყვიტა რუსეთმა სამხედრო ინტერვენციებით შეეშალა ხელი საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში

[2] ნატოს გაფართოება გულისხმობს ევროპის ქვეყნების ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, ხოლო ნატოს გაფართოების პერსპექტივები გულისხმობს ნატოს წევრი-სახელმწიფოების კონსენსუსს ახალი წევრების მიღებაზე და, ამავე დროს, ასპირანტი სახელმწიფოების მიერ გაწევრიანებისათვის აუცილებელი რეფორმების გატარებას. კრემლის მიერ ეს პროცესები აღიქმება რუსეთის უსაფრთხოების ხელყოფად, მისი გავლენების დაქვეითებად და ალიანსის გაძლიერებად (RAND Corporation, 2017, გვ. 29), დასავლეთისთვის კი წარმოადგენს კონტინენტის უნიფიკაციის პროექტს (Rühle, 2015).

ინტეგრაციისთვის 2008 და 2014 წლებში, მაშინ როდესაც 2004 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების[3] ალიანსში გაწევრიანებისთვის სამხედრო აგრესიით არ უპასუხია.

ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში- რუსეთმა საქართველოსა და უკრაინაში სამხედრო ინტერვენციების განხორციელება მომგებიანად მიიჩნია, რასაც ხელი შეუწყო საქართველოსა და უკრაინაში ავტონომიური ერთეულების არსებობამ, რომლებიც კრემლის მხრიდან შიდა კონფლიქტების ხელშემწყობ და მისი აგრესიული ქმედებების ლეგიტიმაციის მექანიზმად იქნა გამოყენებული.

საკითხის სწორად გააზრებისთვის აუცილებელია, განვსაზღვროთ ჰიპოთეზიდან გამომდინარე დამოუკიდებელი, დამოკიდებული და შუალედური ცვლადები. ***დამოუკიდებულ ცვლადს*** წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის რაციონალური გათვლა. ეს გულისხმობს, სტრატეგიული ინტერესიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიმღები პირების ან პირთა ჯგუფის მიერ მიზნის მისაღწევად გარემო-ფაქტორებისა და წარმატების შესაძლებლობების შეფასებას (რამდენად მომგებიანია ესა თუ ის კამპანია), რომელიც გათვალისწინებულია მოქმედებების დაგეგმვისა და აღსრულების დროს. ***დამოკიდებული ცვლადია*** სამხედრო ინტერვენცია, რომელიც წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს მიერ როგორც ღიად, ისე ფარულად საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოყენებას მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მოსახლეობის, ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. 2008 წელს აგვისტოს რუსეთის ფედერაცია შეიჭრა სუვერენული სახელმწიფოს -საქართველოს ტერიტორიაზე და განახორციელა პირდაპირი აგრესია, რომელსაც მოჰყვა ადამიანური დანაკარგი და გარკვეულ ტერიტორიებზე საქართველოს კონტროლის დაკარგვა. უკრაინის შემთხვევაში ჩვენ ვადევნებთ თვალს რუსეთის ფარულ აგრესიას, რომელშიც მის მონაწილეობას კრემლი დღემდე უარყოფს. 2014 წლის თებერვლის მიწურულს ყირიმში გამოჩნდნენ ე. წ. მწვანე კაცუნები-შეიარაღებული პირადი შემადგენლობა ინსიგნიების გარეშე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებში. კრემლი დღემდე აცხადებს, რომ აღმოსავლეთ უკრაინის საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის ჯარი არ მონაწილეობს და მიუთითებს კერძო პირების, ე. წ. მოხალისეთა ჯგუფის არსებობაზე. თუმცა, უკრაინის უსაფრთხოების

[3] ბალტიისპირეთის სახელმწიფოებად მოვიაზრებ ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს.

სამსახურის ცნობით, ეს დაჯგუფებები წარმოადგენს რუსეთი სამხედრო დაზვერვის დაქირავებულ მოსამსახურეებს (ZORIA, 2019). ***შუალედურ ცვლადად*** მოვიაზრებ ავტონომიურ წარმონაქმნებს- ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ მინიჭებული აქვთ უფლება, ისარგებლონ გარკვეული ხარისხის დამოუკიდებლობით, და რომლებიც მოსკოვის მიერ გამოყენებულ იქნა მისი აგრესიული ქმედებების ლეგიტიმაციის მექანიზმად; უკრაინაში -ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო საქართველოში- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).

ნაშრომის ამოცანის მისაღწევად გამოვიყენებ ***თვისებრივი კვლევის მეთოდებს***, იგულისხმება შემთხვევების შედარებითი ანალიზი, რომელიც გვეხმარება, გავიგოთ თუ რა გავლენას ახდენენ გარკვეული ფაქტორები შედეგებზე, არსებული აკადემიური ლიტერატურის დამუშავებისა და ასევე პირადი დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნებით მოვლენების ახსნა. შერჩეული შემთხვევების შედარებითობა წარმოდგენილია ქვევით.

საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის ახსნას ვეცდები რეალიზმის თეორიული სკოლისა და შვედი მკვლევარის, სვანტე კორნელის, თეზისის დახმარებით. კორნელის აზრით, ქვეყანაში ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა ზრდის მესამე მხარის ჩარევის რისკს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი უმცირესობის ჯგუფი და მესამე მხარე ერთმანეთთან დაკავშირებული არიან.

თემის ინფორმაციული და თეორიული ბაზა ეფუძნება მეორადი წყაროების ანალიზს- შესასწავლი საკითხის გარშემო არსებულ სხვადასხვა ანალიტიკური და აკადემიური ტიპის მასალას, ექსპერტების მიერ განხორციელებული კვლევებს, ოფიციალურ განცხადებებს.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. ***პირველი თავი*** ეძღვნება შესავალ ნაწილს, რომელშიც განხილულია საკითხის ისტორიული ექსკურსი და ნაშრომის აქტუალურობა, კვლევის დიზაინი და ნაშრომის სტრუქტურა. აგრეთვე, შესავალში მიმოვიხილავ თეორიულ ჩარჩოსა და გამოყენებულ ლიტერატურას. ***მეორე თავი*** ეთმობა რუსეთის რეაქციებს ნატო-ს გაფართოების

ტალღებზე სხვადასხვა წლებში. ***მესამე თავში*** განხილულია რუსეთის ურთიერთქმედება ბალტიის ქვეყნებთან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რუსულენოვანი/ ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ინტეგრაცია საზოგადოებაში და რუსული პროპაგანდა ბალტიის რეგიონში. ***მეოთხე თავი*** მიმოიხილავს საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და რუსეთის მიერ მათზე განხორციელებულ აგრესიასა და მიზნებს. ***მეხუთე თავი*** ეთმობა მსჯელობას, ალტერნატიული არგუმენტების გამორიცხვას. ***მეექვსე თავი*** მიმოიხილავს რუსეთის საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს რეალიზმის პარადიგმის ჭრილში, მის ფილოსოფიური საფუძვლებსა და ინსტრუმენტებს, სვანტე კორნელის თეზისის შესაბამისად, რუსეთის მიერ ავტონომიური წარმონაქმნების გამოყენებას თავისი ინტერესების მისაღწევად. ნაშრომის ბოლო ნაწილი, ***მეშვიდე თავი,*** კი ეთმობა დასკვნით ანალიზს, სადაც შევაჯამებთ ტექსტის ფარგლებში განხილულ საკითხებს.

თავი 1.2.1 შერჩეული შემთხვევების შედარებითობა

შემთხვევების შედარებითი ანალიზის გაკეთებისას აუცილებელია აღინიშნოს ის ასპექტები, რომელთა მიხედვითაც, ავტორი თვლის, რომ შედარება რელევანტურია. სწორედ ამიტომ აქ წარმოვადგენ ჩემ მიერ შერჩეული შემთხვევების შედარების შესაბამისობას.

საქართველო და უკრაინა

რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია უკავშირდება ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განუსაზღვრელ მომავალში საქართველოს [4] ნატო-ში მიღებასთან დაკავშირებით. უკრაინის შემთხვევაში, ხშირად მიუთითებენ, რომ 2014 წელს კრემლის მიერ უკრაინაში განხორციელებული მოვლენები წარმოადგენდა პასუხს პრორუსული პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლების დამხობასა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დადების განახლებულ სურვილზე. ვფიქრობ, რომ ეს პროცესები

[4] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, კრემლის პერსპექტივით, 2008 წლის ომს უკრაინისთვის უნდა ჰქონოდა „lesson learned“ დატვირთვა: თუკი კიევი განაგრძნობდა ნატოსაკენ ინტეგრაციის გზას, მოსკოვი იმავეს გაიმეორებდა ამ პროცესის აღკვეთის მიზნით.

ირიბად უკავშირდება რუსეთისთვის უკრაინის ნატო-ში შესაძლო გაწევრიანებიდან მომდინარე საფრთხეებს.

2010 წელს იანუკოვიჩმა უარი განაცხადა ნატო-ში გაწევრიანებაზე (Ukraine's parliament votes to abandon Nato ambitions, 2010), მოგვიანებით კი 2013 წელს უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დადებაზე (EU summit shows no sign of reviving Ukraine deal, 2013). იანუკოვიჩის ჩამოგდების შემდეგ, ახალი პროდასავლური ვექტორის მქონე ხელისუფლების სათავეში მოსვლის შედეგად, ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების[5] დაწყების გამო, კრემლს გაუჩნდა ეჭვი, რომ თუკი უკრაინა აგრძელებდა ურთიერთობას ევროკავშირთან, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ახალ ხელისუფლებას აღედგინა, ასევე, გეზი ნატო-სკენ. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს პუტინის 2014 წლის 18 მარტის გამოსვლა, რომელშიც ის გამოეხმაურა სევასტოპოლში ნატო-ს ფლოტის განთავსების „საშიშროებას“ და განაცხადა, რომ რეფერენდუმის შედეგებმა ხელი შეუშალა მოვლენების ამგვარ განვითარებას (Putin, 2014).

ასევე, აღსანიშნავია, რომ უკრაინამ 2014 წელს, საქართველოს მსგავსად, ნატო-ს წევრობის ასპირანტი სახელმწიფოს სტატუსი მიიღო, რაც გულისხმობს ინტენსიური დიალოგის ფარგლებში ალიანსში გაწევრიანების მიზნით შესაბამისი რეფორმების გატარებას (NATO, 2019).

რაც შეეხება, ავტონომიურ წარმონაქმნებს უკრაინასა და საქართველოში, მათ შორისაც არსებობს მსგავსება. მართალია, საქართველოს შემთხვევაში, ავტონომიური წარმონაქმნები ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაჩნდა და შენარჩუნდა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიაც 1954 წლამდე რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკას ეკუთვნოდა, გაუქმდა 1944 წელს და კვლავ შეიქმნა დამოუკიდებელი უკრაინის ხელისუფლების მიერ. თუმცა, აღნიშნულს თავისი მიზეზი ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ყირიმში, აფხაზეთისა და ცხინვალის მსგავსად, დაიწყო ძლიერი სეპარატისტული მოძრაობა. ყირიმელი სეპარატისტები უარყოფდნენ კავშირს უკრაინასთან, მიილტვოდნენ რუსეთისაკენ, ხოლო ამ მოძრაობის ლიდერი, იური

[5] ხელი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას უკრაინამ 2014 წლის 27 ივნისს მოაწერა.

მეშკოვი, მიზნად ისახავდა რეგიონის რუსეთთან შეერთებას (KONOŃCZUK, 2014). მსგავსი ტენდენციები, როგორც წესი, რუსეთის მხარდაჭერისა და წაქეზების გარეშე არ იჩენს თავს, რაც საქართველოს მაგალითზეც ნათლად გამოჩნდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩემ მიერ საქართველოსა და უკრაინის შემთხვევების ერთმანეთთან შედარება.

ბალტიის ქვეყნები და საქართველო-უკრაინა

როდესაც განიხილავენ რუსეთის საგარეო ინტერვენციებს პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, მიუთითებენ რუსეთის აგრესიული ქმედებების რამდენიმე განმაპირობებელ ფაქტორზე, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობის არსებობა (რუსები-ბალტიის ქვეყნებსა და უკრაინაში, აფხაზები და ოსები-საქართველოში), ვესტერნიზაციის პროცესები და გეოპოლიტიკური ალტერნატივის არსებობა (ნატო და ევროკავშირი) (Sprague, 2013, გვ. 23). აღნიშნული ფაქტორებიდან სამივე ინდიკატორი არსებობდა როგორც ბალტიის ქვეყნების, ისე საქართველო-უკრაინის შემთხვევებში.

გარდა ამისა, ერთი მხრივ, ლიეტუვას, ლატვიისა და ესტონეთის და, მეორე მხრივ, საქართველო-უკრაინის ქეისების შედარებისას, ვხელმძღვანელობ რუსეთისთვის მათი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორებით. ჰენრი კისინჯერი თავის „მსოფლიო წესრიგში“ წერს, რომ რუსეთი ყოველთვის მიყვებოდა მის ისტორიულ რიტმს, საუკუნეების განმავლობაში აფართოებდა ტერიტორიას და მხოლოდ პერიოდულად წყვეტდა ექსპანსიას შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად (Kissinger, 2015, გვ. 52). ფრანგი ისტორიკოსი ფერნანდ ბროდელი ამბობდა, რომ რუსეთისთვის საარსებოდ აუცილებელია ბალტიისა და სამხრეთ ზღვების დამაკავშირებელი მისასვლელების დაკავება და მათ შორის არსებული დამაკავშირებელი გზების გაკონტროლება (Dr. Jiri and Leni Valenta, 2018, გვ. 8).

თანამედროვე პერიოდამდე რუსეთისთვის სირთულეებს წარმოადგენდა ის, რომ ჩრდილოეთის ყინულოვანი და წყნარი ოკეანეები, რომელსაც ის ესაზღვრება, წლის განმავლობაში უმეტესად გაყინული იყო. ამასთან, ვითარებას ართულებდა ის, რომ ის ზღვები, რომლებსაც რუსეთი ისტორიის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად აკონტროლებდა, ვერ უზრუნველყოფენ გასასვლელს უმნიშვნელოვანეს წყლებთან.

სამხრეთით, კასპიის ზღვა ჩაკეტილია; შავი ზღვა, მართალია ღიაა, თუმცა, ის ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელს უზრუნველყოფს მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელას სრუტეების მეშვეობით, რომლებიც თურქების მიერ კონტროლდება. ისტორიულად, რამდენჯერაც რუსეთმა დააპირა ამ სრუტეების ხელში ჩაგდება, იმდენჯერაც დასავლეთი მას წინ აღუდგა და მხარდაჭერა თურქეთს აღმოუჩინა. ბალტიის ზღვაში არსებულ დანიის სრუტეებზეც კონტროლს დასავლეთი ახორციელებს. შესაბამისად, ბროდელის პერსპექტივით, რუსეთის ისტორიულ იმპერატივს წარმოადგენს თბილი წყლისა და გაუყინავი პორტების შეძენა.

სწორედ იმიტომ, რომ რუსეთი გამხდარიყო დიადი სახელმწიფო, პეტრე დიდმა მიზნად დაისახა საზღვაო ძალებისა და კარგი ფლოტების შექმნა. მან ექსპანსია ორი მიმართულებით დაიწყო-ერთი მხრივ, შავი ზღვა და კავკასია, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილო-დასავლეთი. მან დააარსა ახალი დედაქალაქი სანქტ-პეტერბურგი, რომელიც მდებარეობს ფინეთის ყურის სანაპიროსთან, და საპორტო ქალაქი კრონშტადტი (ყინულოვანია წელიწადში 6 თვის განმავლობაში), თუმცა ღია ზღვაში მოხვედრის საკითხი მაინც პრობლემატური იყო.

1710 წელს პეტრემ დაიკავა ორი გაუყინავი საპორტო ქალაქი ბალტიის ზღვაში-რიგა და ტალინი (Dr. Jiri and Leni Valenta, 2018, p. 12). მოგვიანებით კი ეკატერინემ დაიპყრო ყირიმის ნახევარკუნძული და ააშენა სევასტოპოლის თბილი წყლის პორტი. მე-19 საუკუნეში კარლ მარქსი რუსეთზე წერდა, რომ ბალტიისა და შავი ზღვების გარეშე იმპერია თვალებისა და ხელების გარეშე დარჩებოდა (Dr. Jiri and Leni Valenta, 2018, გვ. 10). რუსეთი მისთვის უმნიშვნელოვანეს პორტებს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ინარჩუნებდა.

2008 წლის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ გარკვეულწილად აფხაზეთის ოჩამჩირეს თბილი წყლის პორტის მილიტარიზაციასთანაცაა დაკავშირებული, ხოლო 2014 წლის უკრაინის მოვლენები სევასტოპოლის პორტის მნიშვნელობას უკავშირდება[6]. 2009 წელს რუსეთმა განაცხადა, რომ ოჩამჩირეში იქმნებოდა საბრძოლო ხომალდების ბაზირების პუნქტი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც

[6] ეს პერიოდი უკავშირდება იმ ეპიზოდს, როდესაც ჯერ არ იყო ნათელი, რა ბედი ეწეოდა რუსეთსა და უკრაინას შორის დადებული შეთანხმების გაგრძელებას სევასტოპოლის პორტთან დაკავშირებით.

უზრუნველყოფის მოწინავე რუსული საბრძოლო ხომალდებისათვის, საზღვაო სპეცნაზისათვის და საზღვაო ქვეითებისთვის (Cohen, 2009)[7].

შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ რუსეთი მიისწრაფვის მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პორტების დაბრუნებისაკენ, რომელთა შორისაც ბალტიის პორტები და ყოფილი საბჭოთა საზღვაო ბაზა პალდისკიც მოიაზრებიან, ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ შერჩეული სახელმწიფოების შედარება ლეგიტიმურია რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

აგრეთვე, აღსანიშნავია სხვა გარემოებებიც. მაგალითად, განსხვავებით საქართველოსა და უკრაინისაგან, ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა 1991 წელს საბჭოთა კავშირმაც კი აღიარა მის საბოლოო დაშლამდე, თუმცა ანალოგიურად 1990-იან წლებში რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძული დამოუკიდებელი უკრაინის ტერიტორიად სცნო, თუმცა ამან არ შეუშალა კრემლს, მიიერთებინა ის რუსეთის ტერიტორიისთვის.

ასევე, ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ განხილული ქვეყნების შედარება ლეგიტიმურია იმ საერთო წარსულის გამო, რომელიც მათ აერთიანებთ-როგორიცაა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის უღელის ქვეშ ძალდატანებით ყოფნა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პროდასავლური გეზის არჩევა, ნატო-ში გაწევრიანების მიზნით ალიანსთან დაახლოების მსგავსი მექანიზმების იმპლემენტაცია (ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრობა, ნატო-ში მისიის შექმნა, მონაწილეობა შემდეგ პროგრამებში „Partnership for Peace“, „Annual Partnership NP“/“National NATO Integration Programme“, „Planning and Review Process“, სამშვიდობო მისიებსა და სხვადასხვა სწავლებაში მონაწილეობა).

თავი 1.2.2 თეორიული ჩარჩო

წინამდებარე ნაშრომში თეორია გვეხმარება ფენომენის ახსნასა და გაგებაში, აგრეთვე, არსებული ცოდნის გამდიდრებასა და დასმული პრობლემის უკეთ გააზრებაში.

[7] რუსეთმა აფხაზეთში შექმნა საბრძოლო ხომალდების ბაზირების პუნქტი. ოჩამჩირეს პორტში განათავსა 8 საპატრულო ნავი, რადარები აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ, რითაც შეუძლია არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ დანარჩენი საქართველოს სანაპიროს გაკონტროლება (Rukhadze, 2013).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის განხილვისას განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა რეალიზმის მიმდინარეობა, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის მიმდინარე დაპირისპირების ახსნას (Kropatcheva, 2018, p. 43). რეალიზმი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ერთ-ერთ ყველაზე ძველ სკოლას და მოიცავს საგარეო პოლიტიკის ანალიზის სხვადასხვა თეორიულ მიდგომას.

კლასიკური რეალიზმის პრინციპები თუკიდიდეს, ნიკოლო მაკიაველისა და ტომას ჰობსის ნაშრომებს ეფუძნება. მათ ჩამოაყალიბეს რეალიზმის საბაზისო ჩარჩო, რომელიც მოგვიანებით რეალიზმის სხვა მიმდევრებმა განავითარეს, რომელთა შორის ყველაზე მნინშვნელოვანი არიან ედვარდ ქარი, ჰანს მორგენთაუ, კენეთ უოლცი, ჯონ მირშაინმერი და სხვ. აღნიშნული თეორიული პარადიგმა აერთიანებს სტრუქტურულ რეალიზმსა (ნეორეალიზმი) და ნეოკლასიკურ რეალიზმს. რეალიზმის მიმდევრები საერთაშორისო არენაზე მთავარ მოთამაშეებად აღიარებენ სახელმწიფოებს, რომლებიც ეროვნული და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და იბრძვიან მეტი ძალაუფლებისთვის ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში.

მეოცე საუკუნის მიწურულს რეალიზმმა დაკარგა აქტუალურობა, რაც განპირობებული იყო მისი უუნარობით, ეწინასწარმეტყველებინა „ცივი ომის“ დასასრული და საბჭოთა კავშირის დაშლა (Wohlforth, 1994, p. 91). მიუხედავად რეალიზმის მიმართ არსებული დიდი კრიტიკისა, დღეს იგი რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიდგომად, რომელიც გამოიყენება რუსეთის საგარეო პოლიტიკის გასაანალიზებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კრემლის პოლიტიკამ უფრო კონფლიქტური და მილიტარისტული ხასიათი შეიძინა. რეალიზმის პარადიგმა კრემლის ქმედებების ამხსნელ სხვადასხვაგვარ ვარიანტს გვთავაზობს. მოკლედგანვიხილოთ რეალიზმის განშტოებების თეორიული საფუძვლები და მათ შორის არსებული განსხვავებები.

ნეორეალისტი კენეტ ვოლცი ფიქრობდა, რომ ა) სახელმწიფოთა მოქმედებებს/ ტრაექტორიას განსაზღვრავს საგარეო ფაქტორები/საერთაშორისო სისტემა; ბ) საერთაშორისო ანარქიის პირობებში ქვეყნები ცდილობენ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მოიპოვონ უპირატესობა; გ) ისინი მოქმედებენ „თვითდახმარების“

მეთოდების გამოყენებით და ცდილობენ, შექმნან ძალთა ბალანსი შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით ან სხვა სახელმწიფოებთან ალიანსების შეკვრით (Waltz, 1979, p. 106).

ნეორეალიზმი აერთიანებს თავდასხმით და თავდაცვით რეალიზმს. თავდასხმითი რეალიზმის მიმდევრები აცხადებენ, რომ საერთაშორისო სისტემა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ძალაუფლების მაქსიმიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შესაძლოა ამოძრავებდეთ თავდაცვითი მოტივები, ისინი აგრესიულად მოქმედებენ ძალთა ბალანსის მათთვის სასიკეთოდ ჩამოყალიბებისათვის და მოწინააღმდეგეთა დასუსტების მიზნით (Lobell, 2016, p. 38). ამის საწინააღმდეგოდ კი თავდაცვითი რეალიზმის მიმდევრებს სწამთ, რომ სახელმწიფოები უსაფრთხოების გაძლიერებისთვის ამჯობინებენ მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებასა და თანამშრომლობას აქტორებს შორის (Lobell, 2016, p. 47).

ნეოკლასიკური რეალიზმის ქვაკუთხედს, ნეორეალიზმის მსგავსად, წარმოადგენს სახელმწიფოს ძალაუფლება, მისი როლი საერთაშორისო სისტემაში და ურთიერთქმედება სხვა სახელმწიფოებთან. თუმცა, ამავე დროს, ნეოკლასიკური რეალიზმის მიმდევრებს აინტერესებთ სახელმწიფოთა საშინაო ფაქტორები, გადაწყვეტილების მიმღები პირები, კონფლიქტები და ა. შ. ნეოკლასიკური რეალიზმი ახდენს სისტემური და საშინაო ფაქტორების ინტეგრირებას, თუმცა ამავე დროს აჩვენებს მათ შორის არსებულ დამოკიდებულებას (Chandra, 2017, p. 298).

ზოგადად რეალიზმი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მისთვის მომგებიანი შედეგების მისაღწევად აუცილებელი პოლიტიკის გატარებას, რაც მიღწევადია რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებით. რაციონალური გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მრავალსაფეხუროვან პროცესს. ის იწყება მიზნის იდენტიფიცირებიდან, გრძელდება ამოცანის გადაჭრის ხერხის შერჩევით და სრულდება ლოგიკური გადაწყვეტილების მიღებით.

ჯონ მირშაიმერის ერთ-ერთ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ დიდი სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები. მისი აზრით, დიდმა სახელმწიფოებმა კარგად იციან მათი საგარეო გარემო, ხოლო იმისთვის რომ გადარჩნენ-ფიქრობენ

სტრატეგიულად. ისინი მხედველობაში იღებენ სხვა სახელმწიფოების ინტერესებს და იციან, თუ რა ზეგავლენას იქონიებს მათი ქმედებები ამ სახელმწიფოებზე ან/და პირიქით, სხვა სახელმწიფოების ქმედებების ზეგავლენის შემეგები მათი გადარჩენის სტრატეგიაზე. ამასთან, მირშაიმერი წერს, რომ სახელმწიფოები დიდ ყურადღებას ამახვილებენ მათი ქმედებების როგორც გრძელვადიან, ისე მომენტალურ შედეგებს (Mearsheimer J. , 2001, გვ. 17).

კენეთ ვოლცი თავის ნაშრომებში უარყოფს სახელმწიფოების რაციონალურობის დაშვებას და მიუთითებს სხვადასხვა შეცდომაზე, რომლებიც დიდმა სახელმწიფოებმა ისტორიის განმავლობაში დაუშვეს. მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაშინ გაცილებით ნაკლები კონფლიქტები იქნებოდა, თუკი სახელმწიფოები სტრატეგიულად იმოქმედებდნენ. ამის საპასუხოდ, მირშაიმერი ამბობს, რომ სახელმწიფოები ხშირად არასრულფასოვან ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს. მირშაიმერი ამატებს, რომ ხშირად სახელმწიფოებს უჭირთ იმის შეფასება, თუ რას მოიმოქმედებს მოწინააღმდეგე ან რამდენად ეფექტური იქნება მისი ძალები ბრძოლის ველზე. შედეგად, მირშაიმერი ამბობს, რომ სახელმწიფოები რაციონალურები არიან, თუმცა ზოგჯერ შეიძლება ცდებოდნენ და საკუთარ თავს უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ (Mearsheimer J. J., Reckless States and Realism, 2009, გვ. 244).

ვოლცი თავის ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ არ აღიარებს რაციონალურობის ფაქტორს, თუმცა ის ამბობს, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ თავიანთი ვიწრო ინტერესების ფარგლებში, რაც, ამავე დროს, რაციონალურობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

წინამდებარე ნაშრომისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის, სვანტე კორნელის თეორიას, რომელიც გამოხატა ნაშრომში „ავტონომია და კონფლიქტი“. შვედი მკვლევარი ასკვნის, რომ ქვეყანაში ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა ზრდის მესამე მხარის ჩარევის რისკს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი უმცირესობის ჯგუფი და მესამე მხარე ერთმანეთთან დაკავშირებული არიან. კორნელი წერს, რომ ავტონომიური წარმონაქმნები საკუთარი ბუნებით უწყობენ ხელს სეცესიონიზმს (თუმცა, ასევე, აღიარებს ზოგ შემთხვევაში ავტონომიების როგორც კონფლიქტის მოგვარების ქმედით საშუალებას). როდესაც

ცენტრალური ხელისუფლება ანიჭებს გარკვეულ რეგიონს ავტონომიას, ის ამით თმობს მისი სუვერენიტეტის მცირე ნაწილს და დელეგირებას ახდენს ამ რეგიონის წარმომადგენლებზე. ავტონომიურ რეგიონებს ხშირად „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“ მოიაზრებენ, რადგან ისინი სახელმწიფოების მსგავსად არიან მოწყობილი- აქვთ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, სიმბოლიკა (დროშა, გერბი). თუმცაღა, ავტონომიური რეგიონი, რასაკვირველია, წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს ნაწილს, რომლის ავტონომიურობა გარკვეულ ჩარჩოებშია ჩასმული.

ცალკეული იდენტობის წახალისება და ინსტიტუციონალიზაცია ხელს უწყობს ამ ჯგუფების ერთიანობის წინააღმდეგ მოქმედების სურვილს (Cornell, 2002, p. 250). თავის ნაშრომში კორნელი წერს, რომ ავტონომიური სტატუსი ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი საზოგადოების ჯგუფურ იდენტობაზე, სახელმწიფო ინსტიტუტებზე, ხელმძღვანელობაზე, მასმედიასა და საგარეო დახმარებაზე. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ავტონომიები წარმოადგენდნენ კონფლიქტის გამომწვევ წყაროს და არა მისი მოგვარების/პრევენციის საშუალებას და ასკვნის, რომ სეცესიონისტური მოძრაობები გაცილებით უფრო აქტიურია ავტონომიურ უმცირესობებში, ვიდრე არაავტონომიურში.

თავი 1.3 ლიტერატურის მიმოხილვა

რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე უამრავი ნაშრომი არსებობს. უკანასკნელ წლებში გამოიცა არა ერთი წიგნი, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის რევიზიონისტულ ამბიციებს. მათ შორის აღსანიშნავია, ავსტრალიელი მკვლევრის ბობო ლოს ნაშრომი „ რუსეთი და ახალი მსოფლიო არეულობა “ (Bobo Lo -Russia and New World Disorder, Brookings Inst. Press/Chatham House, August 17, 2015), რომელშიც ავტორი გლობალური და რეგიონალური საკითხების მიმართ რუსეთის მიდგომას ხსნის რეალურ სამყაროსა და აღქმით სამყაროს შორის არსებული განსხვავებებით. აგრეთვე, საინტერესო ნაშრომი გამოსცა ირლანდიელმა პროფესორმა ჯერარდ ტოელმა სახელწოდებით „ ახლო სამეზობლო: პუტინი, დასავლეთი და დაპირისპირება უკრაინისა და კავკასიის გამო “ (Gerard Toal - Near Abroad: Putin, the West, and the Contest over Ukraine and the Caucasus, Oxford University Press, January 13, 2017), რომელშიც ავტორი, გარდა იმისა, რომ

მიმოიხილავს რუსეთის წინაშე არსებულ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს და აღწერს გზას, რომელმაც მიგვიყვანა საქართველოს და უკრაინის კონფლიქტებამდე. ყურადსაღებია, აგრეთვე ჯეიმს კოილის წიგნი „ რუსეთის სასაზღვრო ომები და გაყინული კონფლიქტები “ (James J. Coyle- Russia's Border Wars and Frozen Conflicts, Palgrave Macmillan, July 3, 2017), რომელშიც ავტორი აანალიზებს რუსეთის მიერ განხორციელებულ საქმიანობას მოლდოვეთის, საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ, და ასკვნის, რომ ოთხივე შემთხვევაში რუსეთი კონფლიქტების მოგვარების პროცესის ხელის შეშლით ცდილობს, შეინარჩუნოს მისი გავლენა ამ რეგიონში.

წინამდებარე ნაშრომის განსახილველი საკითხიდან გამომდინარე ყურადსაღებია ნაშრომები, რომლებიც ეხება ბალტიის რეგიონის საგარეო პოლიტიკას. აღსანიშნავია დევიდ გელბრეთის, აინიუს ლასას და ჯერემი ლამორუს წიგნი „უწყვეტობა და ცვლილება ბალტიის ზღვის რეგიონში: საგარეო პოლიტიკის შედარება “ (David J. Dr Galbreath, Ainius Lasas, Jeremy W. Lamoreaux - Continuity and Change in the Baltic Sea Region: Comparing Foreign Policies (On the Boundary of Two Worlds), Rodopi, April 1, 2008), რომელშიც ავტორები მიმოიხილავენ ბალტიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციას სოციალისტური რესპუბლიკებიდან ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების წევრობამდე და განიხილავენ საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებს, თუმცა არ გამოქვეყნებულა ნაშრომები, რომლებიც განმარტავდნენ რუსეთის მიერ ბალტიისპირეთის დასავლეთისთვის „დათმობის“ მიზეზს და მითუმეტეს, არ შეუდარებიათ ნატო-ს გაფართოების პერსპექტივებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის რეაქცია.

ნაშრომის მიზნების მისაღწევად ვიყენებ სვანტე კორნელის შრომებს „ავტონომია როგორც კონფლიქტის წყარო“ (Autonomy as a Source of Conflict), “სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების სტრატეგიული ანალიზი, აქცენტით საქართველოზე”(A Strategic Conflict Analysis of the South Caucasus With a Focus on Georgia), რომლებშიც ავტორი საუბრობს კავშირზე ავტონომიურ ერთეულებსა და კონფლიქტებს შორის და მიუთითებს იმაზე, რომ ავტონომიური სტატუსის გარეშე ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონი არ წარმოშობს სეპარატიზმის სერიოზულ საფრთხეს. აგრეთვე, ნაშრომში

გამოყენებულია RAND Corporation-ის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა, რომლებიც ეხება რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკასა და წინააღმდეგობას ნატო-სთან. ბალტიის რეგიონში რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გასაანალიზებლად გამოვიყენე პოლკოვნიკ არი პუჰელოინენის ნაშრომი „რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ბალტიის რეგიონში“ (Russia's Geopolitical Interests in the Baltic Area), რომელშიც ავტორი საუბრობს რუსეთისთვის თბილი წლისა და გაუყინავი პორტების ისტორიულ მნიშვნელობაზე. ასევე, ჩემი ნაშრომისთვის ღირებული იყო დოქტორ ირჟისა და ლენი ვალენტას კვლევა (Russia's Strategic Advantage in the Baltics: A Challenge to NATO?) ბალტიისპირეთში რუსეთის სტრატეგიულ უპირატესობასა და გამოწვევაზე ნატოსთვის. აღნიშნულ ნაშრომში ავტორები ხაზს უსვამენ ბალტიის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთისთვის და ავლენენ კორელაციას სირიაში განხორციელებულ კამპანიასთან.

ბალტიისპირეთში რუსულენოვანი ეთნიკური უმცირესობის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხის გასაანალიზებლად ვიხელმძღვანელე იონა ლიგენზოვკასა იაკუბ პიესუჩის ნაშრომითა (National Minorities Integration in the Baltic States) და ჩესკინის კვლევით (Identity and integration of Russian speakers in the Baltic states: a framework for analysis).

რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მოტივების გასახასიათებლად გამოვიყენე იულია გურგანუსისა და ევგენი რუმერის სტატია რუსეთის გლობალურ ამბიციებზე (Russia's Global Ambitions in Perspective). ასევე საინტერესო იყო კონონჩუკის სტატია (Russia's Real Aims in Crimea) რუსეთის მიზნებზე ყირიმში, სადაც ავტორები საუბრობენ კრემლის სურვილზე, აღადგინონ დიადი სახელმწიფოები და აკონტროლონ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები. ნაშრომის მიზნებისთვის, აგრეთვე, ძალიან ღირებული იყო ვლადიმერ პუტინის განცხადებები სხვადასხვა წლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე გაჟღერებულ მესიჯებსა და 2014 წლის მარტში ყირიმის ანექიის შედეგად წარმოთქმულ სიტყვას. აღნიშნული გამოსვლების შედეგად, ნათლად გამოიკვეთა კრემლის უკმაყოფილება არსებულ საერთაშორისო სტატუს კვოზე და კრემლის მზაობა დაუპირისპირდეს დასავლეთს მის მიერვე დანერგილი ღირებულებებით.

თავი 2. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და მისი რეაქციები ნატო-ს გაფართოების ტალღებზე

თავი 2.1 რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიური საფუძველი

საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად ნებისმიერი სახელმწიფო ატარებს გარკვეულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას. საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს კურსს, რომელიც, მისი პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად, არეგულირებს ურთიერთობებს სხვა აქტორებთან. ცალკეული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ქმედებების საფუძველზე ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობები.

მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ როგორც საერთაშორისო ურთიერთობებზე, ისე რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე. სახელმწიფოები, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო აქტორები წარმოადგენენ არამატერიალურ წარმონაქმნებს, რომლებსაც მოქმედება მხოლოდ ადამიანების მეშვეობით შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა ის, თუ როგორ და რის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები ლიდერების მიერ. ამ შეკითხვას პასუხობს რაციონალური არჩევანის თეორია, რომელიც გულისხმობს შეზღუდული რესურსების პირობებში მიზნის მისაღწევად მოქმედების საუკეთესო ვარიანტის არჩევას. რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ გონივრული ინდივიდუალური პრეფერენციების საფუძველზე და ცდილობენ, მაქსიმალურად გაზარდონ მოგება და შეამცირონ დანაკარგები, შესაბამისად, მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე (Grimsley).

რუსეთის საგარეო პოლიტიკას ძირითადად სამი ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი (მეტ-ნაკლებად უცვლელი) არის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფილოსოფია ან მისი სტრატეგიული მიზანი, რომლებიც, როგორც წესი, წარმოადგენენ მისი იდენტობისა და ისტორიის პროდუქტს და ნაკლები ხარისხით გამოხატავს საშინაო პოლიტიკის შედეგს. მეორე ფაქტორია რუსეთის მიერ გარე სამყაროს/საერთაშორისო

სისტემის მდგომარეობის აღქმა- მსოფლიოში ძალაუფლების გადანაწილება, დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ტენდენციები, მოსკოვის მიერ საფრთხეებისა და შესაძლებლობების აღქმა. მესამე ფაქტორს კი წარმოადგენს რუსეთის ეკონომიკისა და შეიარაღების სფეროს განვითარების დინამიკა (Suslov, 2018).

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილის, ლოგიკისა და ფილოსოფიის ახსნა რამდენიმე სიტყვითაც შესაძლებელია- დიადი სახელმწიფოს (great power) იდეა. რუსეთი საკუთარ თავს მიიჩნევს მულტიპოლარულ სამყაროში ერთ-ერთ დამოუკიდებელ პოლუსად. მოსკოვის ხედვა ეფუძნება იმას, რომ ის აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს გლობალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში და, ასევე, წარმოადგენდეს რეგიონულ ჰეგემონს. ასეთი აღქმა ეფუძნება რუსეთის ისტორიულ წარსულს. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი დიად სახელმწიფოს და ევროპული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. რუსული ფილოსოფია ვერც „ცივი ომის“ დასასრულმა შეცვალა. 1992 წელსაც კი რუსეთი საკუთარ თავს ისეთივე დიად ძალად და იმპერიულ სახელმწიფოდ მიიჩნევდა (კომუნიზმის გარეშე).

თავი 2.2 რუსეთის რეაქციები ნატოს გაფართოებაზე

XX საუკუნის მიწურულს განხორციელებული ცვლილებები მთელს მსოფლიოს შეეხო, თუმცა ყველაზე მეტად გეოპოლიტიკური რევოლუცია აირეკლა ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოების მდგომარეობაზე. ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე ე. წ. „ცივი ომი“ დასავლეთის გამარჯვებით დასრულდა. მოგვიანებით არსებობა შეწყვიტა ამ დაპირისპირების დამარცხებულმა მხარემ- საბჭოთა კავშირმა, ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა კი თავი დამოუკიდებლად გამოცხადეს.

პოსტ-ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე გახდა რუსეთის ფედერაცია, რომლისთვისაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია დიდი ინტერესის საგნად დარჩა. მისთვის რთული აღსაქმელი აღმოჩნდა ის, რომ ეს ქვეყნები აღარ წარმოადგენენ ერთიან სახელმწიფოს და არიან საერთაშორისო სამართლის სუვერენული სუბიექტები. „ახლო სამეზობლოში [8] “ გავლენის შენარჩუნებისთვის და პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების რუსეთზე

[8] “Ближнее зарубежье”- რუსეთის მოსაზღვრე, ახლად გათავისუფლებული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, რომლებიც უფრო ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც იყვნენ.

ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად მოსკოვმა მოახდინა ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების ინიცირება, რომლებსაც თავად ჩაუდგა სათავეში[9]. ახალბედა სახელმწიფოების ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების იძულებისათვის კრემლი არ ერიდებოდა სხვადასხვა ტიპის ზეწოლის ინსტრუმენტის გამოყენებას.

ნატო-ს გაფართოებას რუსეთი არ განიხილავდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის მშვიდობიან ევოლუციას. მოსკოვი ამჯობინებდა ტერმინი „ექსპანსიის“ ვიდრე „გაფართოების“ გამოყენებას, რომელიც უარყოფითი შინაარსის მატარებელია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რუსეთში ანტიდასავლური დისკურსის გასავითარებლად.

ვარშავის პაქტის ორგანიზაციის დაშლამ და რუსეთის შიგნით მიმდინარე პროცესებმა დროებით გადაწიეს ურთიერთობები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. 1993 წლის მეორე ნახევრამდე ნატო-ს გაფართოება არ წარმოადგენდა მოსკოვისთვის პრობლემას. 1993 წლის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ ჰელსინკის უსაფრთოხების სისტემაში რუსეთის როლის შენარჩუნებისთვის აუცილებელია ნატო-სა და დასავლეთის სხვა სამხედრო-პოლიტიკურ მექანიზმებთან თანამშრომლობა კრიზისებისა და კონფლიქტების აღმოფხვრისა და დარეგულირების მიმართულებით. თავის გამოსვლებში რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი აცხადებდა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია არა თუ გარე სამყაროსთან კონფრონტაციით, არამედ თანამშრომლობის გზით, ხოლო რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საუკეთესო საშუალებაა არა თუ თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებების გაზრდა, არამედ პოტენციური მოწინააღმდეგეების შემცირება (Zavada, 2017, გვ. 2).

9 საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1992 წელს ექვსმა ყოფილმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას, რომელსაც ერთი წლის შემდეგ აზერბაიჯანი, ბელორუსია და საქართველო შეუერთდნენ. აღნიშნული ხელშეკრულება შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, თუმცა საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი გამოვიდნენ 1999 წელს ხელშეკრულებიდან ალიანსის ჩამოყალიბებამდე. ეკონომიკური მიმართულებით, რუსეთი აქტიურად ლობირებდა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნებოდა ევროკავშირის ანალოგი. დღეისთვის ის აერთიანებს სომხეთს, ბელარუსისა, ყაზახეთს, ყირგიზეთს და რუსეთს (Sprague, 2013).

შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განცხადებას, რომ მათ სურთ გახდნენ ალიანსის წევრები, რუსეთი არ შეწინააღმდეგებია. უფრო მეტიც, პოლონეთსა და ჩეხეთში ვიზიტის დროს, ელცინმა განაცხადა, რომ თითოეული სახელმწიფო თავად ირჩევს იმ გაერთიანებას, რომელიც უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას (Дубнов, 2014). თუმცა, ხანმოკლე პერიოდში კრემლის პოზიცია რადიკალურად შეიცვალა და გამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგ. მოგვიანებით კი რუსეთის სამხედრო დოქტრინაში გაჩნდა ჩანაწერი, რომ სამხედრო კავშირების გაფართოება წარმოადგენს რუსეთისთვის სამხედრო საფრთხეს. ამხსნელი არგუმენტები, თუ რატომ თვლიდა მოსკოვი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანებას საფრთხედ, წარმოადგენს შემდეგი: ა) ალიანსის გაფართოების შედეგად, იქმნებოდა ერთიანი ევროპული უსაფრთხოების სივრცე, რომლის ფარგლებს გარეთ რჩებოდა მოსკოვი; ბ) გაფართოება შეასუსტებდა რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გავლენის განხორციელების შესაძლებლობას; გ) პოლიტიკოსების დიდი ნაწილის აღქმით, ნატო ბოროტებას წარმოადგენდა (სსრკ-სთან კონფრონტაციის გამო); დ) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ყოველთვის წარმოადგენდნენ საბჭოური/რუსული წარმოების სამხედრო აღჭურვილობის გასაღების ბაზარს, ხოლო ამ ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების შედეგად, რუსეთი ამ ბაზარს კარგავდა, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა მის ეკონომიკურ ინტერესებს (Zavada, 2017, გვ. 3).

აგრეთვე, წარმოიშვა საფრთხე, რომ ნატო იძენდა პირველი დარტყმის შესაძლებლობას არა მხოლოდ ბირთვული იარაღის მეშვეობით, არამედ ახალი წევრი სახელმწიფოების ტერიტორიიდან კონვენციური საშუალებების გამოყენებით (BIELEWICZ, 2009, გვ. 146).

2004 წლის 29 მარტს, ნატო-ს ოფიციალურად შვიდი ახალი წევრი-სახელმწიფო შეემატა, ესენი არიან: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. აღნიშნული გაფართოება ნატო-ს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურია. შედეგად, წევრ-სახელმწიფოთა რიცხვმა იმ მომენტისთვის 26-ს მიაღწია. ოფიციალურ ცერემონიაზე აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა უმცროსმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ალიანსის შექმნის პერიოდში ამ 7 სახელმწიფოს მოსახლეობა იმპერიის ტყვეობაში იმყოფებოდა (Bush, 2004).

ამასობაში, მოსკოვში ნატო-ში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გაწევრიანებას მოყვა მწვავე შეფასებები, რომლებიც უკავშირდება ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურისა და შეიარაღებული ძალების რუსეთის საზღვრებთან განთავსების შიშს. ამ საფრთხიდან გამომდინარე, რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრებმა მოუწოდეს რუსეთის მთავრობას, გადაეხედათ თავდაცვის პოლიტიკა. სწორედ ამ პრობლემის ირგვლივ შეიკრიბა უსაფრთხოების საბჭო, რათა განეხილათ საზღვრისპირა რეგიონებში დამატებითი ძალების განთავსების საკითხი. გარდა ამისა, გაფართოების შემდეგ, კრემლმა არაერთი საჰაერო და საზღვაო სადაზვერვო ოპერაცია ჩაატარა ბალტიის ზღვის რეგიონში (Gidadhubli, 2004, p. 1886).

მიუხედავად მწვავე რეაქციისა, მოსკოვში თავს იმშვიდებდნენ იმით, რომ უფრო დიდი ნატო აპრიორი არ ნიშნავდა უფრო ძლიერ ნატო-ს (Rand Corporation, 2017, გვ. 87). ასევე, აპელირებდნენ ნატო-ს გამოუსადეგლობაზე, რადგან ალიანსი, მათი აზრით, წარმოადგენდა „ცივი ომის“ გადმონაშთს, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეების საპასუხოდ.

თუმცაღა, ალიანსის შექმნა ემსახურებოდა სამ მიზანს: საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავება, ნაციონალისტური მილიტარიზმის აღზევების დაუშვებლობა ევროპაში კონტინენტზე ძლიერი ჩრდილო-ამერიკული კონტინგენტის განთავსებით, ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის წახალისება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობდა, სამიდან ორი მიზეზი, რის გამოც ალიანსი ჩამოყალიბდა, ჯერ კიდევ არსებობდა: ეს იყო ნაციონალიზმის აღზევების აღკვეთა და კოლექტიური უსაფრთხოების, დემოკრატიზაციის, ევროპაში პოლიტიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფა (A SHORT HISTORY OF NATO). ამასთან დაკავშირებით 2007 წელს პუტინმა თავის გამოსვლაში გაკვირვება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის საჭირო სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან ახლოს განლაგება და ეჭვის ქვეშ აყენებს კავშირს სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გლობალური საფრთხეების დაძლევას შორის (Путин, 2007).

1999 წლის გაფართოებაზე მეტად ნატო-რუსეთის ურთიერთობები გააფუჭა 2004 წლის გაფართოებამ. მას შემდეგ, რაც ელცინს მოუწია ნატო-ში პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის გაწევრიანების პერსპექტივასთან შეგუება, მან ევროპის

გეოპოლიტიკურ რუკაზე გაავლო ე. წ. წითელი ხაზი, რომელიც ნატო-ს არ უნდა გადაეკვეთა. ეს ხაზი გადიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, რაც ნიშნავდა, რომ ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ნატო-ში არ უნდა მიეღოთ. თუმცა, ამისდა მიუხედავად, 2002 წლის პრაღის სამიტზე ამ სახელმწიფოებმა ალიანსში გაწევრიანების მოწვევა მიიღეს, ხოლო 2004 წელს სრულ ინტეგრაციას მიაღწიეს. მოვლენების ასეთ განვითარებას კრემლი საკმაოდ ნეგატიურად შეხვდა, თუმცა ქმედითი ნაბიჯები ამ პროცესის აღმოსაფხვრელად არ გადაუდგამს. რუსეთის ხელმძღვანელობა შემოიფარგლა უკმაყოფილების შემცველი განცხადებებით. ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ნატო-ში მიღების შემდეგ, რუსეთმა გაზარდა კალინინგრადის ოლქის მნიშვნელობა და დაიწყო მისი მილიტარიზაცია, რომლის შედეგადაც დღეს კალინინგრადი ერთ-ერთი ყველაზე შეიარაღებული წერტილია ევროპაში. ჯერ კიდევ 1998 წელს რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლაი მიხაილოვმა განაცხადა, რომ კალინინგრადის რეგიონი შეასრულებს შემაკავებელ როლს (Matthieu Chillaud, Frank Tetart, 2007, გვ. 174).

მართალია, კრემლისთვის ნატო-ს გაფართოება ყოველთვის მიუღებელია, თუმცაღა, 2009 წლის გაფართოების დროს რუსეთი არ იყო ნატო-ში ალბანეთისა და ხორვატიის მიღების წინააღმდეგ (NBC News, 2009), მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პირებისაგან ვრცელდებოდა განცხადებები, რომ ნატო-ს გაფართოება ძირს უთხრის უსაფრთხოებას ევროპაში და უქმნის მეტ საფრთხეს კოლექტიურ ძალისხმევას (B92, 2008).

ნატო-ში მონტენეგროს გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებამ გამოიწვია მწვავე რეაქცია რუსეთიდან. მოსკოვმა ჩვეულებისამებრ განაცხადა, რომ ამ პროცესს უპასუხოდ არ დატოვებდა (Rossiyskaya Gazeta, 2015). მართალია, მოსკოვს არ განუხორციელებია პირდაპირი სამხედრო აგრესია პოდგორიცაზე, თუმცა, მას ბრალად ედება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობის ხელშეწყობა და მონაწილეობა. წარუმატებელი მცდელობის შედეგად, პოდგორიცას სასამართლომ დაასკვნა, რომ გადატრიალება ძირითადად დაორგანიზა GRU-ს ორმა რუსმა ოფიცერმა. აღნიშნულ ოპერაციას საერთაშორისო საზოგადოება ნატო-ში გაწევრიანებას უკავშირებს. ხსენებულ ქეისზე

პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაცია საკუთარ თავზე, რა თქმა უნდა, არ იღებს და უარყოფს მის მონაწილეობის ფაქტს (Warsaw Institute, 2018).

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისთვის ნატო-ს გაფართოების თითოეული ტალღა გაღიზიანებას იწვევდა, გამომდინარე იქედან, რომ ეს პროცესები ხელს უწყობდა ერთიანი ევროპის იდეის გაძლიერებასა და რუსეთის გავლენების დაკარგვას, კრემლს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები ნატო-ს მის საზღვრებთან დაახლოების პროცესის აღსაკვეთად.

თავი 2.3 რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტები

პოსტ-საბჭოთა რუსეთის აქტიურ საგარეო პოლიტიკას საფუძველი ჩაუყარა ევგენი პრიმაკოვმა პუტინის გაპრეზიდენტებამდე. მისი მინისტრობის პერიოდში ჩამოყალიბდა ე. წ. პრიმაკოვის დოქტრინა, რომლის მიხედვით, რუსეთი აღარ უნდა ყოფილიყო მეორეხარისხოვანი სახელმწიფო, რომელიც დასავლეთის პირველობასა და უნიპოლარობას დაეთანხმებოდა, არამედ, პირიქით, სათავეში ჩაუდგებოდა აშშ-ს ალტერნატივისა და მულტიპოლარული სამყაროს შექმნას. კრემლის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების არსენალს განეკუთვნება:

- *ეკონომიკური ბერკეტები და ვაჭრობა* - სსრკ-ს დაშლის შემდეგ, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებმა მემკვიდრეობით გადაიბარეს ცენტრალური დაგეგმვის ლოგიკაზე დაფუძნებული ეკონომიკური სტრუქტურები. ისინი დღემდე დამოკიდებული არიან მოსკოვის მიერ ძირითადი მოხმარების ნივთების, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ დსთ-ს შიგნით ძველი სავაჭრო კავშირები შედარებით შესუსტდა და სავაჭრო ორიენტაციამ დიფერენციაცია განიცადა, რუსეთი მაინც დარჩა მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად. დამოკიდებულება განსაკუთრებით დიდია საკვებისა და აგრარული პროდუქტების მიმართ. რუსეთისთვის ასეთი პროდუქციით ვაჭრობა მეზობლებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მოსკოვს არაერთხელ გამოუყენებია კვოტების სისტემა, აკრძალვები და სხვ.
- *ენერგორესურსები* - გამომდინარე იქედან, რომ რუსეთი მდიდარია ენერგორესურსებით და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენერგო ექსპორტიორია,

მოსკოვი თავის ენერგო შესაძლებლობებს მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იყენებს. რუსეთი იქცა არასანდო პარტნიორად მისი სამეზობლოს გადმოსახედიდან, რადგან მოკლევადიანი კონტრაქტების გამო, ხშირად ცვლიდა/ზრდიდა ფასებს ენერგორესურსებზე. ენერგორესურსების გაყიდვიდან დაგროვებული ვალიც ზეწოლის ერთ-ერთ ბერკეტს წარმოადგენს. მიზნის მისაღწევად მოსკოვი არც ენერგორესურსების მიწოდების შეწყვეტას ერიდებოდა. ასე, მაგალითად, მოსკოვმა 2006 და 2009 წლებში შუა ზამთარში გაზის მიწოდება შეუწყვიტა უკრაინას, რითაც შეუზღუდა გაზის მიწოდება ასევე ევროპასაც.

- *საიმიგრაციო პოლიტიკა-* 2000-იან წლებში რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის, ვიზისა და ენობრივი ბარიერის არარსებობის ხელშეწყობით რუსეთი საკმაოდ მიმზიდველი სახელმწიფო გახდა პოსტ-საბჭოთა სივრცის შრომითი მიგრანტებისათვის. შესაბამისად, ახლო სამეზობლოში მიზნების მისაღწევად კრემლმა ასევე საიმიგრაციო ინსტრუმენტებსაც მიმართა. მაგალითად, საქართველოსთან ურთიერთობების გაფუჭების შემდეგ, მოსკოვმა ჯერ ცალმხრივად გააუქმა უვიზო რეჟიმი, გარდა იმ მოქალაქეებისა, ვინც სეცესიონისტურ რეგიონებში ცხოვრობდნენ, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ პირობები ვიზის მოპოვებისთვის განსაკუთრებით გაართულა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ურთიერთობების „ნორმალიზაციის“ პერიოდში რუსეთის მზაობა სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფდა საქართველოზე მეტი ზეგავლენის მოპოვების შესაძლებლობას. 2014 წელს რუსეთმა ასევე გაამკაცრა შრომის უფლების მოპოვების რეგულაციები იმ სახელწმიფოებისთვის, რომლებმაც უარი თქვეს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებაზე-საქართველო, უკრაინა, მოლდოვეთი. საპირისპიროდ, ბელორუსიისა და სომხეთის მოქალაქეებს რუსეთში მუშაობის თავისუფალი უფლება აქვთ. შესაბამისად, რუსეთი სხვადასხვა ხერხს მიმართავს პროდასავლურ გზაზე მყოფი სახელმწიფოების დასასჯელად, მათ შორის მასობრივ დეპორტაციასაც.
- *სამხედრო და პოლიტიკური ჩარევა-* დასახული მიზნების მისაღწევად რუსეთი არ ერიდება სამხედრო მეთოდების ღია ან ფარულ გამოყენებას, სეცესიონისტური

მოძრაობების მხარდაჭერასა და მის სამეზობლოში კონფლიქტების „გაყინვას“; პრორუსული და/ან ანტი-დასავლური პარტიების/კანდიდატების ფინანსურ წახალისებას, რის სანაცვლოდაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ითხოვს ლოიალურობას კრემლისადმი ან/და პრორუსული ნარატივის ხელშეწყობას.

- *სხვა ეფექტური საშუალებები*, რომლებსაც რუსეთი არა მხოლოდ სამეზობლოში არამედ მთელს მსოფლიოში მიმართავს- საერთო ისტორიული და კულტურული წარსულის გამო, რუსეთი აქტიურად მიმართავს თანამშრომლობას კულტურის, მეცნიერების დარგში, ხელს უწყობს რუსული ენის პოპულარიზაციას. კრემლის ინსტრუმენტთა მარაგს განეკუთვნება დეზინფორმაცია, კიბერ თავდასხმები, ჰიბრიდული ომის მეთოდები და მასობრივი მედიით მანიპულირება.

თავი 3. ბალტიის სახელმწიფოები და რუსეთის ინტერესები რეგიონში

ბალტიის სახელმწიფოები (ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი) 50 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. ისინი წარმოადგენენ იმ სახელმწიფოებს, პრაქტიკულად რომელთა გამოც დაიწყო საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლის პროცესი, და დღეს, როგორც წარმატებული მაგალითი, იმყოფებიან რუსეთის „ოპონენტ“ გუნდში.

უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში ბალტიის ზღვაზე გაბატონებისთვის მიმდინარეობდა მუდმივი დაპირისპირება სხვადასხვა ძალას შორის. დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა პერიოდში წარმოადგენდნენ ჰოლანდია, ბრიტანეთი, გერმანია და საბჭოთა კავშირი/რუსეთი. უკანასკნელ პერიოდში ამ სახელმწიფოთა ჩამონათვალს რეგიონში შედარებით ახალი გეოპოლიტიკური აქტორი-აშშ- დაემატა. სწორედ ამ უკანასკნელი გამო, რეალიზმის მიხედვით, რუსეთს უფრო აქტიურად უნდა ემოქმედა საკუთარი ინტერების დასაცავად.

თავდაპირველად რუსეთისთვის ბალტიის რეგიონის მნიშვნელობა კომერციული მიზეზებით იყო განპირობებული. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში ივანე მრისხანე სავაჭრო გზის გაყვანის მიზნით, ცდილობდა, მოეპოვებინა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე. იმ დროისთვის რუსეთს მის ევროპულ ნაწილში მხოლოდ ერთი პორტი ჰქონდა არქანგელსკში, თუმცა, საბოლოოდ ფანჯარა ევროპისკენ გაჭრა პეტრე დიდმა.

ბალტიის ზღვაში რუსეთის ინტერესები კომერციულთან ერთად, რეგიონის სამხედრო მნიშვნელობამაც გააძლიერა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაც კი, პეტრე დიდის მსგავსად, შეპყრობილი იყო სურვილით, მოეპოვებინა ბალტიის გაუყინავი პორტები (Puheloinen, 1999, გვ. 47). მოგვიანებით ბალტიის რეგიონმა, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, გარდა საზღვაო განზომილებისა, ასევე, შეიძინა საჰაერო თავდაცვის უზრუნველმყოფის როლიც.

საბჭოთა კავშირს ბალტიის ქვეყნებში მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალი ჰქონდა მობილიზებული[10]: 120 000-კაციანი პირადი შემადგენლობა, ფლობდა ბაზებს პალდისკში, ტალინში, რიგაში, ლიეპაიასა და კლაიპედაში, ფლობდა ადრეული გაფრთხილების სისტემასა და რამდენიმე აეროდრომს, რომლებიც რუსეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაკარგა, რამაც ის გეოსტრატეგიულად მეორე მსოფლიო ომამდელ მდგომარეობას დააბრუნა (Puheloinen, 1999, გვ. 55).

ბალტიის რეგიონი აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია პოლონეთთან სიახლოვის გამო. იალტის კონფერენციაზე 1945 წელს სტალინმა აღნიშნა, რომ პოლონეთი რუსეთისთვის ყოველთვის სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა, რადგან ისტორიის განმავლობაში პოლონეთი რუსეთზე თავდასხმების განხორციელების დროს წარმოადგენდა ერთგვარ კორიდორს (Puheloinen, 1999, გვ. 58). სწორედ ამიტომ, ამ თვალსაზრისით, პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები თანაბარ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას წარმოადგენენ, ხოლო სტრატეგიული დანიშნულების სრუტეებს, სახმელეთო ოპერაციების დროს რუსეთისთვის თავდაცვის ზღუდეების დატვირთვა აქვს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ოპერაციის რაიონის ჩაკეტვა (Puheloinen, 1999, p. 61).

თავი 3.1 ბალტიის ქვეყნები უსაფრთხოების კონცეფციის ძიებაში

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ბალტიისპირეთის ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი მათი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაზე. ტალინს, რიგასა და ვილნიუსს ჰქონდათ რამდენი ვარიანტი: ა) დაყრდნობოდნენ მხოლოდ საკუთარ ძალებს; ბ) მიეღოთ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა; გ) გაწევრიანებულიყვნენ მსხვილ საერთაშორისო სტრუქტურაში, რომელთა წევრებს კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება აქვთ; დ) სამხედრო გაერთიანებებში გაწევრიანებისაგან თავის შეკავება და ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

თუმცა, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების შეზღუდული პოტენციალი და რესურსები ვერ უზრუნველყოფდა დაცულობის მაღალი ხარისხის მიღწევას. როგორც

[10] 2 მოტომსროლელი დივიზია, 1საჰაერო-დესანტისა და 1 სანაპირო დაცვის დივიზიები, 11 საჰაერო, საჰაერო თავდაცვისა და საზღვაო ავიაციის პოლკი.

ისტორია გვასწავლის, ნეიტრალიტეტი პრაქტიკულია იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომელთა წინაშე არსებული საფრთხეები მოწინააღმდეგე მხარესათვისაც კი არაა ხელსაყრელი (შვეიცარია), რაც ჩემ მიერ განხილულ რეგიონს საერთოდ არ მიესადაგება, რადგან ის ოდითგანვე წარმოადგენდა დაპირისპირების არენას. რუსეთის მიმართ ოკუპაციური აღქმიდან გამომდინარე, ამ ქვეყნებმა გეზი ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ (ევროკავშირი და ნატო) აიღეს.

1993 წლის დეკემბერში ბალტიის სახელმწიფოების სამიტზე ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათი ხედვით, ნატო წარმოადგენდა ამ სამი სახელმწიფოს უსაფრთხოების პერსპექტიულ გარანტს. ამის შედეგად, ბალტიის სამმა სახელმწიფომ 1994 წლის იანვარს ალიანსში გაწევრიანებისათვის ოფიციალური განაცხადი შეიტანეს (Lithuania MFA, 2015). იმავე თვეს ბრიუსელის სამიტზე ნატო-მ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება ორგანიზაციის სამომავლო გაფართოებასთან დაკავშირებით. შეიქმნა ალიანსთან თანამშრომლობის განვითარების ინსტრუმენტი პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომლის ფარგლებშიც რეგიონის სახელმწიფოებმა მიაღწიეს ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმას (Individual Partnership Action Plan-IPAP), დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს (Planning and Review Process - PARP). რეგიონის სახელმწიფოებს უდიდესი ხარვეზები ჰქონდათ პირადი შემადგენლობის მომზადების თვალსაზრისით, თუმცა ამერიკული მხარისა და ნატო-ს დახმარებით, დაიწყეს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სფეროს რეფორმირება. მოგვიანებით, მიღწეული პროგრესის შედეგად, მათ მიიღეს როგორც კანდიდატი სახელმწიფოების სტატუსი, ისე გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan-MAP).

რუსეთის საზღვრებთან ნატო-ს დაახლოება კრემლს საფრთხეს უქმნიდა (და უქმნის დღესაც). რუსეთის პოზიცია ბალტიის სახელმწიფოების ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 1997 წელს შემუშავებულ დოკუმენტში, რომელშიც კრემლი აფიქსირებს, რომ ნატო-ში ამ სახელმწიფოს გაწევრიანება, ევროკავშირში გაწევრიანებისაგან განსხვავებით, მისთვის მიუღებელია; რუსეთის მიზანს, დოკუმენტის მიხედვით, წარმოადგენს ამ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება (Чумаков, 2018). ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია

ის ფაქტი, რომ რუსეთმა რამდენჯერმე წამოწია ბალტიის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინიციატივა, ნატო-ში გაწევრიანებაზე უარის თქმის შემთხვევაში. აღნიშნულმა ინიციატივამ გააკვირვა როგორც თავად ბალტიის ქვეყნები, ისე ნატო-ს სხვა წევრებიც, თუმცა ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა ის მაინც უარყვეს. შედეგად, 2004 წელს შეიქმნა ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრების ნატო-ში გაწევრიანების პრეცედენტი.

ნატო-ს გაფართოებით ევროპაში იქმნებოდა ერთიანი უსაფრთოხების სივრცე, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია საერთო იდეით. იგი ადგილს არ ტოვებდა იუგოსლავიის მსგავსი სცენარის განვითარებისთვის. ახალი ქვეყნების მიღებით ალიანსი „ახალ სისხლს“ იძენდა, რომლებიც შემოიტანდნენ თავდაცვით დღის წესრიგს კონკრეტული საფრთხეების არარსებობის პირობებშიც კი. მთავარ დივიდენტს წარმოადგენდა სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგების შენარჩუნება. გაფართოების შედეგად, ბრუსელმა აბსოლუტური კონტროლის ქვეშ მოაქცია ბალტიის ზღვა, რითაც იგი ნატო-ს საშინაო ზღვად აქცია. ბრიუსელმა ხელში ჩაიგდო შესაძლებლობა იმისა, რომ რუსეთის საზღვრებთან ახლოს განახორციელოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება; მით უფრო, აღსანიშნავია რუსეთის სტრატეგიულ ცენტრებთან ნატო-ს სიახლოვის ფაქტორი- ესტონეთ-რუსეთის საზღვრიდან სანქტ-პეტერბურგამდე დაახლოებით 150 კმ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რუსეთმა გააძლიერა თავისი ძალების შემადგენლობა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (Чумаков, 2018).

თავი 3.2 ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ინტეგრაცია საზოგადოებაში

1940 წელს ბალტიის ქვეყნები საბჭოთა კავშირში იძულებით შევიდნენ. მომდევნო 50 წელი ქვეყნებს კომუნისტური პარტია მოსკოვიდან მართავდა. თუმცა, მოგვიანებით მიხეილ გორბაჩოვის მიერ წამოწყებული „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტის“ შედეგად, ჩამოყალიბდა საფუძველი ამ ქვეყნების საბჭოთა უღელისაგან გათავისუფლებისათვის. ამ სახელმწიფოებმა შეძლეს მოსკოვის ზეგავლენისაგან გამოსულიყვნენ და დღეს ევროკავშირისა და ნატო-ს წევრებს წარმოადგენენ. დღეს ისინი წარმოადგენენ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებს შორის

გამონაკლისს, რომლებმაც დასავლეთთან ინტეგრაციის ასეთ დონეს მიაღწიეს (Chemla, 2019).

ბალტიის სახელმწიფოები უახლესი ისტორიის განმავლობაში რუსეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ჯერ ცარისტული იმპერიის, ხოლო შემდეგ სოციალისტური საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად განაპირობა ბალტიის ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული ფონი.

დღეისათვის ეთნიკურად რუსი მოსახლეობა ლიეტუვაში 6%, 27% ლატვიასა და 25% ესტონეთში წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებში ეთნიკურად რუსი უმცირესობა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს (განსაკუთრებით ლატვიასა და ესტონეთში), ბალტიის ქვეყნებში პრორუსულ პოლიტიკურ მოძრაობებს საკმაოდ ლიმიტირებული მხარდაჭერა აქვს. ამის ელემენტარულ მაგალითს წარმოადგენს სკოლებში რუსული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით დემონსტრაციებში მონაწილეობა, რომელთა მხარდასაჭერად 100-150 კაცი გამოვიდა (Stratfor, 2014). რუსულენოვანი წარმომადგენლობა, ასევე, საკმაოდ პასიურია პოლიტიკური საკითხების მიმართაც (Cheskin, 2015, გვ. 9). რუსული პოლიტიკური პარტიები საკმაოდ არაპოპულარულია, ხოლო იშვიათი გამონაკლისების გარდა ძალადობრივ მობილიზაციას ადგილი არც ჰქონია.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ბალტიის სახელმწიფოებში ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც დაუდგენელი მოქალაქეობა ჰქონდა. ესტონეთში, მაგალითად, ასეთი ადამიანების კატეგორიას მოსახლეობის 32% წარმოადგენდა. მოქალაქეობის მინიჭების საკითხი, ერთი მხრივ, ესტონეთმა და ლატვიამ, ხოლო, მეორე მხრივ, ლიეტუვამ სხვადასხვაგვარად გადაწყვიტეს. ესტონეთმა და ლატვიამ გადაწყვიტეს, რომ ის ადამიანები, რომლებსაც ან რომელთა წინაპრებს ამ ქვეყნების ტერიტორიაზე არ უცხოვრიათ 1940 წლამდე, გართულებული გზით მიიღებდნენ მოქალაქეობას. მათ ნატურალიზაციისთვის უნდა ჩაებარებინათ სახელმწიფო ენის გამოცდა, სცოდნოდათ ქვეყნის ისტორია, კონსტიტუცია და ჰიმნი. ეს ეფუძნებოდა იმ ლოგიკას, რომ ბალტიის ქვეყნები საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოკუპირებული იყვნენ, ხოლო საბჭოთა დროინდელი მიგრანტები არ წარმოადგენდნენ მკვიდრ მოსახლეობას. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ხელისუფლება საკმაოდ

ნეგატიურად ეხმიანებოდა ბალტიის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციებს, ხშირად მათ „დისკრიმინაციულსაც“ უწოდებდა. საპასუხოდ, მოსკოვმა მიიღო კანონი გამარტივებული პროცედურებით ბალტიელი რუსებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, რითაც ცდილობდა, შეექმნა საფუძველი შესაძლო ჩარევისათვის.

ლიეტუვას შემთხვევაში, იმდროინდელმა ხელისუფლებამ არადისკრიმინაციულ გზას მიმართა. მათი კანონმდებლობით, ის ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის მუდმივად ცხოვრობდნენ ლიეტუვაში, პირდაპირ ხდებოდნენ ქვეყნის მოქალაქეები, გამოცდების ჩაბარების გარეშე (Joanna Ligenzowska, Jakub Piecuch, 2015, გვ. 173). დროთა განმავლობაში ბალტიის ქვეყნებში მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა მოსახლეობის უფრო მეტ ნაწილს მიეცა, თუმცა, დღემდე არსებობენ ადამიანები, რომლებიც ე.წ. უცხოელის პასპორტებს ფლობენ.

თუკი გავითვალისწინებთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გამოცდილებას ეთნიკურად რუსი მოსახლეობის არსებობასთან და კონფლიქტების გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებით, ჩნდება შეკითხვა, თუ რატომ არ იჩენს თავს ეთნიკურ ფონზე დაძაბულობა და კონფლიქტი ბალტიის ქვეყნებში. ამ საკითხმა გამოიწვია ამ მიმართულებით კვლევების დაწყება. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ბალტიის ქვეყნებში მცხოვრები რუსები არ არიან ჰომოგენურნი, მათი ინტერესებიც კი არაიდენტურია (Cheskin, 2015, გვ. 3). მათ აერთიანებთ ენა და ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის გარეთ ცხოვრობენ. ისინი არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას ეთნიკურ ფაქტორს და განიცდიან სირთულეებს მათი იდენტობის განსაზღვრის თვალსაზრისით. სხვა კვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ გამომდინარე იქედან, რომ ბალტიის ქვეყნებში ეკონომიკის ზრდა უფრო სწრაფად ხდება ვიდრე რუსეთში, ბალტიელი რუსები ფიქრობენ, რომ ბალტიის ქვეყნებში რუსეთთან შედარებით მეტ სარგებელს/პერსპექტივას ნახავენ (Cheskin, 2015, გვ. 23). ეთნიკურად რუსი მოსახლეობა, განსაკუთრებით უმცროსი თაობა, დიდ უპირატესობას გრძნობს ევროკავშირის წევრობისაგან (ეკონომიკური ინტეგრაცია, უვიზო მიმოსვლა შენგენის ზონის სახელმწიფოებთან). მკვლევრების აზრით, ეკონომიკური პროგრესი აძლიერებს მოსახლეობის ნდობას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, შედეგად კი უფრო მეტად აფასებენ მოქალაქეობის ქონას (Cheskin, 2015, p. 10).

ბალტიის ქვეყნებს უწევთ რუსეთის საინფორმაციო კამპანიისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც ეს უკანასკნელი მედიით ახორციელებს და არასახარბიელო სახით წარმოაჩენს ბალტიის ქვეყნების ხელმძღვანელობას. კრემლი რუსეთის ტელევიზიის მეშვეობით მხარს უჭერს მის ეთნიკურ ჯგუფებსა და პარტიებს ბალტიის სამივე სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, ბალტიელებს უჭირთ სრულიად მოახდინონ რუსული გავლენების ნეიტრალიზება. თუმცა, რუსები ვერ იაზრებენ იმას, რომ რბილი ძალა ყველაზე კარგად მუშაობს მაშინ, როდესაც მხარეს შესაძლებლობა აქვს სამიზნე აუდიტორიას შესთავაზოს უკეთესი ალტერნატივა; თანაც ცრუ ინფორმაციის გავრცელება და ცილისწამება არ წარმოადგენს რბილ ძალას (Otskivi, 2016, p. 31).

ბალტიის ქვეყნების წინააღმდეგ რუსეთს, მართალია, პირდაპირი აგრესიის აქტი არ განუხორციელებია, თუმცა, ზეწოლის მისაყენებლად იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიცაა საბოტაჟის მოწყობა სხვადასხვა მიმართულებით. 2007 წლის გაზაფხულზე რუსი ეთნიკური უმცირესობა ჩართული იყო ტალინში საპროტესტო მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ჯარისკაცის ე.წ. „ბრინჯაოს ჯარისკაცის“ ძეგლის მოხსნას. ამავე დროს, კრემლის მიერ განხორციელდა კიბერ-შეტევა, რომელმაც გამოიწვია ესტონური სახელმწიფოს ფუნქციონირების პარალიზება (Alistair Scrutton, David Mardiste, 2017).

ბალტიის ქვეყნებში არ არსებობდა ავტონომიური რეგიონები, სადაც რუსეთი, როგორც წესი, აპელირებს ნაციონალისტური ნარატივით, აღვივებს შუღლსა და მტრობას ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. აქ რუსეთს გაუჭირდებოდა/გაუჭირდა ბალტიის ქვეყნებში მისი ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის პოვნა (რაც მისი საგარეო პოლიტიკური მიზნების იმპლემენტაციისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს). რუსეთმა ვერ მოახერხა ეთნიკურად რუსი მოსახლეობის/რუსულენოვანი ჯგუფების მობილიზება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, გამომდინარე იქედან, არ არსებობდა ავტონომიები როგორც დესტაბილიზაციის მექანიზმი.

თავი 4. რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ

თავი 4.1 საქართველოს მნიშვნელობა და რუსეთ-საქართველოს ომი

საქართველო მდებარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე რუსეთსა და თურქეთს, კასპიისა და შავ ზღვებს შორის. საუკუნეების განმავლობაში საქართველო წარმოადგენდა თურქეთის, ირანის, მონღოლეთისა და რუსეთის ინტერესის საგანს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოთი დაინტერესდნენ აშშ და ევროკავშირი. ერთ-ერთი მოსაზრებით, დასავლეთის ქვეყნებისთვის საქართველოს მნიშვნელობა გაიზარდა მათ მიერ ავღანეთსა და ერაყში განხორციელებული კამპანიების შედეგად, რადგან მათი ხედვით, საქართველო ხელს უწყობდა უსაფრთხოებას სამხრეთ კავკასიაში (V. Modebadze, G. Kozgambayeva, 2018).

დღესდღეობით საქართველო დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია ენერგო უსაფრთხოების თვალსაზრისით. საქართველო კრიტიკული რგოლია კასპიის ზღვის რეგიონიდან ენერგო რესურსების მიწოდების თვალსაზრისით. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მეშვეობით, ნავთობის უზრუნველყოფა ევროპის ქვეყნებისათვის ხდება რუსეთის გვერდის ავლით, რაც ზიანს აყენებს კრემლის ჰეგემონიას კავკასიაში, რადგან იგი თავადაა ენერგო რესურსების ერთ-ერთი წამყვანი ექსპორტიორი მსოფლიოში, რომელსაც სურს, მონოპოლია ჰქონდეს ამ მიმართულებით. ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან შემოსული თანხები დაახლოებით წარმოადგენს რუსეთის ბიუჯეტის ნახევარს. რუსეთისთვის ენერგო პოლიტიკა არ წარმოადგენს ვაჭრობის კომპონენტს, მისთვის ის წარმოადგენს მსოფლიოში გავლენების მოპოვების მნიშვნელოვან საყრდენს. სწორედ ამიტომ 2008 წლის ომის დროს მან დაბომბა ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენები.

საქართველოს მნიშვნელობა აგრეთვე განპირობებულია იმით, რომ ის მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ჯერ კიდევ 1993 წელს რუსეთის ფედერაციის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, გრაჩოვმა საქართველოდან რუსული ჯარის გამოყვანასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შედეგად, რუსეთი დაკარგავს შავ ზღვაზე გასასვლელს (Kozhokin, 1996).

რუსეთის მიზანია, არ დაუშვას საქართველოს შემდგომი ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ეკონომიკურ და სამხედრო სისტემებში (Menabde, 2019). კავკასია, თავის მხრივ, წარმოადგენს სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების დავის საგანს. მას ხშირად მოიაზრებენ დერეფნად, რომელიც აკავშირებს ევროპას ცენტრალური აზიის, კასპიის აუზისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყნებთან (V. Modebadze, G. Kozgambayeva, 2018). რუსეთი კი მეტად უკმაყოფილოა მის საზღვრებთან მოწინააღმდეგე ძალების გავლენების გაზრდასთან დაკავშირებით და ცდილობს, ზეგავლენა იქონიოს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და შეინარჩუნოს დომინირება რეგიონში (Utiashvili, 2014).

დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის არ დაწყებულა 2008 წელს, არამედ მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თუმცა, მე ყურადღებას გავამახვილებ ბოლო ასწლეულში განვითარებულ მოვლენებზე.

დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკების მიერ დაპყრობის შემდეგ, საქართველოში წარმოიშვა ავტონომიური წარმონაქმნები. თავდაპირველად, 1921 წლის მარტში, აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იქნა აღიარებული (Kozhokin, 1996), თუმცა, მოგვიანებით საქართველოს ისტორიულ რეგიონს, რამდენჯერმე შეეცვალა სტატუსი. იმავე წლის დეკემბერში, აფხაზეთმა და საქართველომ სამოკავშირეო ხელშეკრულება დადეს, 1931 წელს კი აფხაზეთი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიყვანეს (რუხაძე, 1999). საქართველოს შემადგენლობაში არსებული სტატუსი იწვევდა აფხაზების მუდმივ უკმაყოფილებას, რომელმაც თავი 1989 წელს იჩინა სეპარატიზმის სახით. 1992 წელს აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც თბილისმა აფხაზეთში ჯარის გადასროლით უპასუხა. აფხაზებმა აღნიშნული შეტევა, რუსებისა და კავკასიელი მოხალისეების აქტიური მხარდაჭერით, მოიგერიეს და უკუაგდეს ქართული ქვედანაყოფები.

რუსეთის ფედერაციამ ამ კონფლიქტში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს მხარედ ის არ აღიარებს. ელცინის რუსეთმა ეს სეპარატისტული კონფლიქტი გამოიყენა ზეწოლის ინსტრუმენტად, რათა კონფლიქტის შეჩერების სანაცვლოდ, აეძულებინა საქართველო, გაწევრიანებულიყო დსთ-ში და

დაერთო ნება მის ტერიტორიაზე მუდმივად განთავსებულიყო რუსეთის ქვედანაყოფი (Kozhokin, 1996). მოგვიანებით რუსეთმა აფხაზეთის ტერიტორიაზეც პასპორტიზაციის პროცესი დაიწყო.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს, როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პოლიტიკური მიზნებისთვის ხელოვნურად იქნა შექმნილი რუსეთის რევოლუციის შემდეგ. ასეთი „ჟესტი“ მიზნად ისახავდა ოსების მხარდაჭერის მოპოვება დამოუკიდებელი საქართველოს სსრკ-ში ინტეგრაციის იძულებისათვის. შედეგად, 1922 წელს ბოლშევიკებმა სამაჩაბლოს ავტონომია მიანიჭეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია ადმინისტრაციულად გამოყოფილი აქამდე არც კი ყოფილა. გაცილებით უფრო მეტ შეკითხვას აჩენს ის, რომ ბევრი ოსური დასახლება ამ არეალის ფარგლებში ვერც მოექცა.

მე-20 საუკუნის დასასრულს, როდესაც საბჭოთა კავშირი უკვე სულს ღაფავდა, ეთნიკურ ნიადაგზე თავი იჩინა დაძაბულობამ. ამ დაძაბულობის „გაყინულ კონფლიქტად“ გარდაქმნის გამო, უდიდესი წვლილი მიუძღვის მოსკოვს, რომელიც ცდილობდა, არ დაეშვა საქართველოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება.

2008 წელს რუსეთი შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც თბილისმა ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა სცადა. დღეისათვის ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება აბსოლუტურად დამოკიდებულია რუსეთიდან მომდინარე სუბსიდიებზე, კრემლის მიერ უზრუნველყოფილ უსაფრთხოებაზე (ცხინვალის რეგიონში განთავსებულია რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობა, რომელიც აერთიანებს 7000-9000 ჯარისკაცს). რუსეთსა და სეპარატისტულ რეჟიმს შორის დადებულია ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ცხინვალის რეგიონის ანექსიას მოასწავებს.

გარდა სამხედრო და ეკონომიკური დახმარებისა, ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება სარგებლობს რუსეთის დიპლომატიური მხარდაჭერით. 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთმა ის ოფიციალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, რაშიც რუსეთის რამდენიმე მოკავშირემაც მიბაძა. მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეგიონი აღიარებულია საქართველოს ტერიტორიად, 1992 წლიდან

ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას რუსეთი მარტივად ურიგებდა რუსეთის მოქალაქეობას, რაც შემდგომ გამოყენებული იქნა საკუთარი ინტერესებისთვის(„ჩვენ არ დავტოვებთ ჩვენი თანამემამულეების სიკვდილს დაუსჯელად“). შესაბამისად, რუსეთმა წინასწარ მოამზადა საფუძველი ინტერვენციისთვის.

საქართველოს ხელყოფილი ტერიტორიული მთლიანობა და სეპარატისტულ რეგიონებში მისი სამხედრო წარმომადგენლობა ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ენერგორესურსების ტრანზიტული კორიდორის განვითარების კლიმატზე. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი წარმოადგენს საფრთხეს რუსეთის ეკონომიკური ინტერესებისთვის. შესაბამისად, მოუგვარებელი კონფლიქტები ხელს უშლის რუსეთის გვერდის ავლით განსახორციელებელი პროექტების ამოქმედებას.

2008 წლის ომი

2008 წლის აგვისტოს რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. ინტერვენციას მოყვა 5-დღიანი სამხედრო კონფლიქტი, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია როგორც რეგიონული ისე საერთაშორისო პოლიტიკაზე. რუსეთისთვის ომის მიზანს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის კონტროლის აღდგენას.

ეს კონფლიქტი სათავეს 1990-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც სეცესიონისტურმა რეგიონებმა („სამხრეთ ოსეთმა“ და აფხაზეთმა) ე. წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთს მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში დიდი როლი ჰქონდა, რამაც გამოიწვია სეპარატისტული კონფლიქტების რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებად გარდაქმნდა. დროთა განმავლობაში რუსეთმა წამოიწყო ე. წ. პასპორტიზაციის პროცესი, რაც გულისხმობდა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებულ მინიჭებასა და პასპორტების გაცემას. რეალური ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის და სტატუს-კვოს შეცვლისათვის არ გადადგმულა. პირიქით,

ვითარება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და შედეგად, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

2008 წლის ივლისში რუსეთმა, საქართველოს საზღვართან ახლოს ჩაატარა სამხედრო სწავლება „კავკასია 2008“ 8000-კაციანი შემადგენლობით. ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიაზე ტარდებოდა სწავლება „მყისიერი პასუხი 2008“. კონფლიქტის უშუალო დაწყებამდე დაფიქსირდა არაერთი პროვოკაციული ქმედება როგორც სეპარატისტული რეჟიმის, ისე რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რასაც გმობდა საერთაშორისო საზოგადოება და მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, მშვიდობის დაცვის მოწოდებებისდა მიუხედავად, აგრესიის თავიდან აცილება ვერ მოხდა.

რუსეთის პოზიციის მიხედვით, აგვისტოს ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა ქართული მხარის მშვიდობისკენ იძულება. თავისი ქმედებები კი ახსნა მისი ვალდებულებით, დაეცვა რუსეთის მოქალაქეები, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი.

რუსეთის ქმედებების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს „ცივი ომის„ შემდგომი მოცემულობა და პუტინის სურვილი, გაეუმჯობესებინა რუსეთის სახე მსოფლიო პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აცხადებდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ის თავდაცვით ოპერაციას აწარმოებდა, სინამდვილეში კრემლს გეოპოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა. რუსეთი საქართველოს განიხილავდა როგორც რევიზიონისტულ ძალას, რომელსაც ჰქონდა პოტენციალი, შეეცვალა კავკასიაში არსებული ძალთა ბალანსი, რომელიც შესაბამისობაში იყო რუსეთის „გავლენის სფეროების“ დოქტრინასთან. რუსეთს სურდა, ომის შედეგად დაეზარალებინა საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები, ეჩვენებინა საქართველოს პარტნიორებისთვის, განსაკუთრებით აშშ-სთვის საქართველო როგორც არასტაბილური მოკავშირე, რითაც შეაფერხებდა ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პროცესს (Hamilton, 2008). რუსეთს, ასევე, დიდ დისკომფორტს უქმნიდა ამერიკის შეერთებული შტატების მზარდი ჩართულობა კავკასიის პოლიტიკაში. დასავლეთის უსაფრთხოების სისტემის მიმართ საქართველოსა და უკრაინის დიდმა დაინტერესებამ საფუძვლიანად

შეარყია რუსეთის ჰეგემონია, შესაბამისად, ძალთა ბალანსის შენარჩუნების ინტერესი იყო კონფლიქტის წამოწყების უმთავრესი მიზეზი (Rahman, 2009).

თავი 4.2 უკრაინის მნიშვნელობა და აგრესია უკრაინის წინააღმდეგ

1856 წელს რუსეთი ყირიმის ომში დამარცხდა. ის დათანხმდა ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირობებს, გაეუქმებინა სევასტოპოლში განთავსებული საზღვაო ბაზა. აღნიშნული მიზნად ისახავდა რუსეთის სამხედრო დასუსტებას შავ ზღვაზე. თუმცა, მალევე რუსეთი კვლავ შეუდგა სევასტოპოლის დაუფლებას.

ისტორიის განმავლობაში რუსი ლიდერები ყოველთვის უბრუნდებოდნენ ყირიმის ნახევარკუნძულს. ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია რუსეთმა ეკატერინე დიდის დროს მიისაკუთრა; მოგვიანებით ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინის სოციალისტურ რესპუბლიკას გადასცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი იგი შენარჩუნდა კიევის იურისდიქციის ქვეშ. მოსკოვისთვის უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს სევასტოპოლში არსებული პორტი, რომელიც რუსეთის განკარგულებაში იყო 1997 წელს უკრაინასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე (Popovici, 2018).

სევასტოპოლის პორტი წარმოადგენს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის „შტაბ-ბინას“, რომელიც მნიშვნელოვანია რუსეთისთვის მისი საზღვაო ძალაუფლების დემონსტრირებისთვის. ბაზა კრიტიკულია გამომდინარე იქედან, რომ წარმოადგენს თბილი წყლის პორტს, რომლის სიღრმე 30 მეტრს აღწევს. წარმოადგენს ბაზის მნიშვნელობა გამოიკვეთა 2008 წლის ომის დროს საქართველოს წინააღმდეგ, როდესაც რუსეთს მოუწია ამფიბიური დესანტირების განხორციელება.

რუსებს აქვთ ისტორიული წარმოდგენა იმისა, რომ უკრაინა რუსული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილია და მას უმნიშვნელოვანეს ბუფერულ სახელმწიფოდ განიხილავენ. უკრაინის ევროპასთან დაახლოების შესაფერხებლად რუსეთი სხვადასხვა მეთოდებს იყენებდა, ხოლო 2014 წლის აგრესია მეტყველებს იმაზე, რომ უკრაინა კრემლის „სტრატეგიული ორბიტის“ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის უბრძოლველად დათმობას ის არ აპირებს (Rand Corporation, 2017, გვ. 31).

2013 წლის შემოდგომას ჩვენ თვალს ვადევნებდით კიევში, ცენტრალურ მოედანზე მიმდინარე საპროტესტო მოძრაობებს, რომლებიც დაიწყო მას შემდეგ, რაც

უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უარი განაცხადა, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე. შედეგად, ამ საპროტესტო მოძრაობამ ძალადობრივი ხასიათი მიიღო. პრო-დასავლურმა პოლიტიკურმა ძალებმა გადააყენეს პრეზიდენტი და თავად ჩამოაყალიბეს დროებითი/შუალედური მთავრობა, ხოლო ყოფილი ხელისუფლების წევრების უმეტესობამ ქვეყანა დატოვა და რუსეთში გაიქცა. შედეგად, უკრაინა გათავისუფლდა რუსეთის გავლენისაგან, რაც ამ უკანასკნელის გეოპოლიტიკურ დამარცხებას წარმოადგენდა.

რუსეთი არ დაელოდა უკრაინაში ვითარების დალაგებას და მყისიერად დაიწყო მუშაობა, რათა აღედგინა ზეგავლენა და გაეკონტროლებინა კიევის სტრატეგიული ორიენტაცია. რუსეთის საპასუხო მოქმედებები ორი პარალელური კომპონენტისაგან შედგებოდა. პირველი, რუსეთმა გადაწყვიტა შემოერთებინა ყირიმი და ამავე დროს საფუძველი ჩაუყარა საპროტესტო მოძრაობას აღმოსავლეთ უკრაინაში, რომელიც ამბოხად გადაიქცა.

ტერიტორიის შემოერთება გაცილებით მარტივია, თუკი მოწინააღმდეგე ძალას ადგილობრივი მოსახლეობა მეგობრულად აღიქვამს. რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ისტორიულად ბაზირებულია ყირიმის ნახევარკუნძულზე. ყირიმში ორი სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ჯარი ერთდროულად იყო განლაგებული; ორივე მათგანი, მოსახლეობის გადმოსახედიდან, ლეგიტიმური იყო. მე-20 საუკუნეში ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკიდან უკრაინის სოციალისტურ რესპუბლიკას გადასცა. გამომდინარე იქედან, რომ ორივე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, ეს გადანაცვლება სიმბოლური იყო, რადგან არანაირი შედეგები არ გამოუწვევია. გამომდინარე იქედან, რომ ყირიმში რუსეთის მოსახლეობის დიდი წარმომადგენლობა იყო, მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭებოდა რუსეთთან ურთიერთობას. ეთნიკური და კულტურული ერთგვაროვნების გამო, რუსეთმა შეძლო ფარული ოპერაციები განეხორციელებინა. კრემლის სპეციალური ოპერაციების ძალები თავს ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებად ასაღებდნენ; შედეგად, მათ რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი დაიკავეს, როგორიცაა ადგილობრივი პარლამენტისა და მერიის შენობები

მართალია ძირითადი წვლილი რუსეთის ძალოვან ქვედანაყოფებს მიუძღვით, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პრორუსული აგიტაცია, რომელშიც მონაწილეობას ე. წ. პროფესიული აგიტატორებიც იღებდნენ, რომლებსაც თანხა გადაუხადეს უკრაინაში ჩასვლისათვის და პროპაგანდის უზრუნველყოფისთვის (Michael Kofman, Katya Migacheva, Brian Nichiporuk,Andrew Radin, Olesya Tkacheva, Jenny Oberholtzer, 2017, p. 33). უკრაინის 2014 წლის მოვლენებმა აჩვენა, რუსეთის ურთიერთობები დასავლეთთან და მის მეზობლებთან, ანუ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, არ არის ცალ-ცალკე არსებული დამოუკიდებელი საკითხები. ნატო-ს და ევროკავშირის გაფართოება, მათი მზარდი გავლენა რუსეთის სამეზობლოზე მოსკოვის მხრიდან აღქმული იყო როგორც არა მხოლოდ დასავლეთის მიერ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების ხელყოფად, არამედ როგორც საფრთხე მისი იდენტობისა და ისტორიული ნარატივისათვის (Zevelev, 2016, გვ. 8).

რუსეთის მიერ ინტერვენციების განხორციელება პოსტ-საბჭოთა სივრცეზე ემსახურება დამოუკიდებელი პროდასავლური სახელმწიფოების რუსული ორბიტის ფარგლებში შემობრუნება.

1990-იანი წლების სეპარატისტული მოძრაობა ყირიმში

2014 წლის მოვლენებს საფუძველი გაცილები უფრო ადრე, 1990-იან წლებში, ჩაეყარა საფუძველი, თუმცა, ახალბედა უკრაინაში მიმდინარე სეპარატისტულ მოძრაობას იმ დროისათვის ფართო-მასშტაბიანი ესკალაცია არ მოჰყოლია. ვფიქრობ, ნაშრომის მიზნებისთვის ღირს ამ ეპიზოდის გახსენებაც.

1991 წლის თებერვალში უკრაინის უზენაესმა საბჭომ ყირიმის ნახევარკუნძულს უკრაინის ფარგლებში ავტონომია მიანიჭა. რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი, მოუწოდებდა ყირიმელებს, გამოყოფოდნენ უკრაინას. 1992 წლის მაისში ყირიმის პარლამენტმა ხმა მისცა უკრაინისგან დამოუკიდებლობის მოპოვებას, რის შემდეგაც ეს საკითხი რეფერენდუმზე უნდა გაეტანათ. რა თქმა უნდა, კიევი ყველანაირად ცდილობდა, არ დაეშვა პლებისციტის ჩატარება. პარალელურად, რუსეთის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად ყირიმის უკრაინის სსრ-ისთვის გადაცემა არაკონსტიტუციურად იყო აღიარებული და გაჟღერდა მოწოდება ყირიმის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით,

რუსული და უკრაინული მხარეები შეთანხმდნენ ყირიმისთვის ავტონომიის მინიჭებაზე უკრაინის ფარგლებში (Minorities at Risk Project, 2004).

პრორუსული პოლიტიკოსი იური მეშკოვი არწმუნებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მათი ცხოვრება დამოუკიდებლობის პირობებში გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე უკრაინის შემადგენლობაში (SCHMEMANN, 1992). მსგავსი აგიტაცია საკამოდ ეფექტური იყო, რადგან ყირიმის მოსახლეობის 70% ეთნიკური რუსები შეადგენდნენ, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაში იყვნენ 1954 წლამდე, ხოლო უკრაინის განადგურებული ეკონომიკა და ჰიპერინფლაცია მათ უკმაყოფილებას სულ უფრო მეტად აღვივებდა.

1994 წლის იანვარში ყირიმის ნახევარკუნძულზე ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც პრორუსულმა კანდიდატმა იური მეშკოვმა გაიმარჯვა. მის წინასაარჩევნო კამპანიაში ის პირდებოდა მოსახლეობას, რომ გამარჯვების შემთხვევაში ჩაატარებდა რეფერენდუმს ყირიმის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით (The New York Times, 1994).

1995 წელს კიევმა გააუქმა ყირიმის პრეზიდენტის პოსტი. რუსეთში კი აცხადებდნენ, რომ ეთნიკური რუსების დასაცავად მოსკოვი გამოიყენებდა სხვადასხვა ტიპის საშუალებას და მათ შორის სამხედრო ძალასაც (Minorities at Risk Project, 2004). საბოლოო ჯამში, ზემოხსენებული რეფერენდუმი არ ჩატარდა, რუსეთმაც სიტუაციის გამწვავებისაგან თავი შეიკავა, რადგან იმ მომენტში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები უკრაინის ბირთვულ განიარაღებასთან დაკავშირებით, რასაც უკრაინის პრეზიდენტი მისი ინტერესებისთვის იყენებდა (The New York Times, 1994). რუსეთმა ამ პერიოდში გაამწვავა ურთიერთობა კიევსა და ყირიმს შორის, მხარს უჭერდა პრორუსული ბლოკის წარმომადგენლებსა, თუმცა, არეულობის მოწყობის მიუხედავად, საწადელის მიღწევისაგან დროებით ხელი აიღო და განახორციელა 2014 წელს.

გამომდინარე იქედან, რომ რუსეთი რაციონალური აქტორია, ის დიდხანს ფიქრობს და გეგმავს თავის ქმედებებს. ის არ ჩქარობს და წლების განმავლობაში, ნელ-ნელა, მცირე პორციებით უწყობს ხელს მიზნების მიღწევას და ამზადებს ნაყოფიერ ნიადაგს ინტერვენციისთვის. ხოლო ინტერვენციის განხორციელებისას თავს

იმართლებს მორალური ვალდებულებებით, სამართლებრივი ჩარჩოებითა და პრეცედენტებით, რაც დადასტურდა საქართველოს და უკრაინის მაგალითებით.

გამომდინარე იქედან, რომ ბალტიისპირეთში მოსკოვს, ავტონომიების სახით, არ ჰქონდა არც წინასწარ მომზადებული პლაცდარმი და ე. წ. ნელი მოქმედების ნაღმი, კრემლმა არ ჩათვალა რაციონალურად, გამოეყენებინა სამხედრო ძალა ბალტიის ქვეყნების ნატოში გაწევრიანების აღკვეთის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოები მისთვის არანაკლებ მნიშვნელობას წარმოადგენდნენ როგორც სტრატეგიულად, ისე ისტორიული ნარატივის ფარგლებში. შესაბამისად, მოსოვს მოუწია არსებულ ვითარებასთან შეგუება. ერთადერთი გამოსავალი მისთვის დარჩა არასამხედრო მეთოდების გამოყენებით დასავლური სტრუქტურების, ასევე, ბალტიის ქვეყნების მთავრობების დისკრედიტაცია პროპაგანდის, დეზინფორმაციის გავრცელებისა და კიბერ-შეტევების მეშვეობით.

თავი 5. ალტერნატიული ჰიპოთეზები

მოცემული ჰიპოთეზის შესამოწმებლად უნდა გამოვრიცხოთ ყველა შესაძლო ალტერნატიული მიზეზი.

ტერიტორიული სიახლოვე და საერთო წარსული

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ მოსკოვის საპასუხო ქმედებებს ნატო-ს გაფართოებასთან/გაფართოების პერსპექტივებთან დაკავშირებით განსაზღვრავს ალიანსის პოტენციური წევრების რუსეთის საზღვრებთან სიახლოვის ფაქტორი. რუსეთში სწამთ, რომ დასავლეთი ეფუძნება ე. წ. „ანაკონდას სტრატეგიის [11] “ პრინციპებს, რომელიც რუსეთის საზღვრების გასწვრივ ნატო-ს სამხედრო ბაზების განთავსებით მიზნად ისახავს მის „გაგუდვასა“ და დამარცხებას (CENTER FOR STRATEGIC ASSESSMENT AND FORECASTS, 2017). აქედან გამომდინარე, კრემლის რევიზიონისტული პოლიტიკა წარმოადგენს პასუხს დასავლეთის ჩანაფიქრზე. თუკი შევადარებთ საქართველო-უკრაინის შემთხვევებს უნგრეთის, ბულგარეთის ან მონტენეგროს ქეისებთან, საზღვრებთან სიახლოვის არგუმენტი ლეგიტიმური იქნებოდა, რადგან ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, საქართველო და უკრაინა უშუალოდ ესაზღვრებიან რუსეთს. შესაბამისად, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ კრემლმა ძალისმიერი ინტერვენცია მოსაზღვრე სახელწმიფოებში მოწინააღმდეგე სამხედრო ალიანსის ბაზების შესაძლო განთავსებას დაუპირისპირა. თუმცაღა, ამ არგუმენტთან წინააღმდეგობაში მოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოების-ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთის-გაწევრიანებასთან დაკავშირებით რუსეთის რეაქცია. ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, საქართველო-უკრაინის მსგავსად, ესაზღვრებიან რუსეთის ფედერაციას, თუმცა, სამხედრო ხასიათის კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. სხვადასხვა ავტორის მოსაზრებით, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს მათი რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, რაც უკავშირდება რუსეთის ფედერაციის ლიდერების ე. წ. ტრადიციული გავლენის სფეროების შენარჩუნების სურვილთან (Shinar, 2017, გვ. 642). მოსკოვის მოქმედებები მეტყველებს მის მიდგომაზე,

[11] ანაკონდას სტრატეგია განავითარა ტაიერ მეჰენმა (Thayer Mahan), თუმცა სტრატეგიის იდეა ეკუთვნის ამერიკელ გენერალს, ვინფილდ სკოტს (Winfield Scott) (Scekic, 2016, გვ. 85).

რომ თუკი ეს სახელმწიფოები არ არიან რუსეთის მოკავშირეები, მაშინ არც სხვა რომელიმე მხარის მოკავშირეებს არ უნდა წარმოადგენდნენ (JUKIC, 2019). ამ მხრივ, ერთიანი ქოლგის ქვეშ მოიაზრებიან როგორც საქართველო და უკრაინა, ისე ბალტიისპირეთის სახელმწიფოები (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი), რადგან თითოეული მათგანი განიცდიდა როგორც ცარისტული, ისე სოციალისტური იმპერიების უღელს; თუმცაღა, მოსკოვის მიერ სამხედრო ხასიათის აგრესია 2004 წელს ნატო-ში გაწევრიანების შედეგად ამ უკანასკნელზე არ განხორციელებულა.

ეკონომიკური სისუსტე

1999 წლის ნატო-ს გაფართოების შედეგად, მოსკოვის მიერ ვრცელდებოდა განცხადებები, სადაც ერთიან კონტექსტში უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ალიანსში შესაძლო მოხვედრა კრემლის მიერ აღქმული იქნებოდა როგორც წითელი ხაზი (Frost, 1999). რატომ არაფერი მოიმოქმედა მოსკოვმა 2004 წელს, თუკი დასავლეთმა რუსეთისთვის მიუღებელი ნაბიჯი გადადგა და ალიანსის წევრად ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფო მიიღო 2004 წელს, განსხვავებით 2014 წლის უკრაინის ქეისისგან, რომლის შემთხვევაშიც ადგილი მხოლოდ ინტეგრაციული პროცესების განვითარებას ჰქონდა?

ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, რუსეთმა ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანებაზე რეაგირება იმიტომ არ მოახდინა, რომ 2004 წლისთვის მოსკოვს ამის ძალა ფიზიკურად არ შესწევდა (Mearsheimer J. J., Why the Ukraine Crisis Is the West's Fault, 2014, p. 2), რადგან 21-ე საუკუნის დასაწყისში ის ბევრი სირთულის წინაშე იდგა. ცივი ომის შედეგად, მოსკოვმა დაკარგა ძალაუფლება და პრესტიჟი, საშინაო პოლიტიკაში კი განიცდიდა ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისსა და პოლიტიკურ არეულობას; ნავთობზე გაზრდილი საფასურიდან მიღებული თანხები ძირითადად ხმარდებოდა საგარეო ვალის დაფარვას. (Зыгарь, 2016) ხელისუფლებაში ახალმოსული

პუტინი ცდილობდა მოეხდინა ძალაუფლების ცენტრალიზაცია, რათა აღედგინა კონტროლი მთელს ტერიტორიაზე და აწარმოებდა საბრძოლო ოპერაციებს ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ. პუტინმა აგრეთვე გაილაშქრა პოლიტიკური ოპონენტების წინააღდეგ და დაიწყო მათი მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა. აღნიშნ ნულ გარემოებებს ემატებოდა პუტინისთვის რიგით მეორე არჩევნების ფაქტორი, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანი იყო ძალაუფლების შენარჩუნების სურვილის თვალსაზრისით.

თუკი ჩვენ დავეთანხმებით იმას, რომ კრემლმა გაძლიერებულად საკუთარი თავი 2008 წელს იგრძნო, მას შემდეგ რაც ნავთობზე ფასების ზრდამ საგრძნობლად გაამყარა რუსეთის ეკონომიკა, ხოლო პუტინმა მისი რეპრესიული პოლიტიკის მეშვეობით გააძლიერა ძალაუფლების ვერტიკალი, მაშინ ჩნდება შეკითხვა: საქართველოს და უკრაინის მოვლენებ(ი)ს შორის პერიოდში/შემდეგ რატომ არ გამოიყენა სამხედრო ძალა ნატო-ს 2009 და 2017 წლების გაფართოების საპასუხოდ? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალბანეთი და ხორვატია რუსეთს უშუალოდ არ ესაზღვრება და შესაბამისად, ინტერვენციის შედეგებიც მისთვის ნაკლებად ღირებული იქნებოდა, თუმცა, ბალკანეთის რეგიონში წამყვანი როლისა და გავლენების დაუფლების სურვილი საპირისპირო ვარაუდზე მიუთითებს. ბალკანეთთან რუსეთს მნიშვნელოვანი ისტორიული, კულტურული და რელიგიური კავშირები აერთიანებს. რეგიონის მნიშვნელობას აძლიერებს მისი სიახლოვე როგორც შავ და ხმელთა შუა ზღვებთან, ისე ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან.

რუსეთის სისუსტესთან დაკავშირებულ არგუმენტთან ასევე წინააღმდეგობაში მოდის 90-იან წლებში რუსეთის მიერ პოსტ-საბჭოთა სივრცეზე სხვადასხვა ეთნიკურ კონფლიქტში ფარულად მონაწილეობა და მხარეების მხარდაჭერა როგორც ადამიანური რესურსით, ისე შეიარაღებით ან თუნდაც კოსოვოს ომის შედეგად განვითარებული მოვლენები და მასში რუსეთის ჩართულობა. 1999 წლის მარტიდან-ივნისამდე ნატო იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას აწარმოებდა. გადაწყვეტილებისამებრ, კოსოვოში უნდა განლაგებულიყო ნატო-რუსეთის გაერთიანებული სამშვიდობო ძალა. თუმცა, რუსეთს სურდა, რომ მისთვის ნატო-საგან დამოუკიდებელი სექტორი მიენიჭებინათ, რაზეც მან უარი მიიღო და რის საპასუხოდაც მოახდინა ქ. პრიშტინაში

„სლატინას“ აეროპორტის ოკუპაცია (ერთადერთი აეროპორტი, რომელსაც შეეძლო მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო საჰაერო საშუალებების მიღება) (Patrick Wintour, Ian Traynor and Tom Whitehouse, 1999). გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ინციდენტი მცირემასშტაბიანი იყო, თუმცა, მიუხედავად რუსეთის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემებისა, კრემლმა თავისი ინტერესების დასაცავად იპოვა გამბედაობა და დაუპირისპირდა ნატო-ს ძალებს; რუსეთის მაშინდელ ხელმძღვანელობას ხომ არანაირი გარანტია არ ჰქონდა, რომ ეს ინციდენტი აქტიური დაპირისპირების გარეშე დასრულდებოდა. შესაბამისად, რთულია იმის თქმა, რომ რუსეთი სამხედრო ძალის გამოყენებისთვის ელოდება მომენტს, როდესაც ის გაძლიერდება.

სტრატეგიული ადგილმდებარეობა

პროდასავლური ვექტორის გამო განხორციელებული აგრესიის განხილვისას აღსანიშნავია სამიზნე-სახელმწიფოების სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორიც. საქართველოზე გადის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზა, ისტორიულად აქ ე. წ. აბრეშუმის გზაც გადიოდა და უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო კორიდორს წარმოადგენდა. დღესაც საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აქვს კასპიის ზღვის რეგიონის ენერგომატარებლების პროექტებში. ამ მიმართულებით, საქართველომ სატრანსპორტო გზაჯვარედინის ფუნქცია დაიბრუნა სსრკ დაშლის შემდეგ, რადგან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს მსგავსი საკითხები მოსკოვის მიერ წყდებოდა (კამლაძე, 2016). საქართველოს აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი, რომლის მნიშვნელობა განპირობებულია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მეშვეობით ხმელთაშუა ზღვაში შეღწევის შესაძლებლობით.

რუსეთს აქვს ისტორიული წარმოდგენა იმისა, რომ უკრაინა რუსული სამყაროს აუცილებელი ნაწილია და მას უმნიშვნელოვანეს ბუფერულ სახელმწიფოდ განიხილავს. უკრაინა განლაგებულია რუსეთისთვის სტრატეგიულად ღირებულ ადგილას, იგი ესაზღვრება რუსეთის ჰართლენდს და ფლობს პორტს, რომელიც ისტორიულად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რუსული ფლოტისთვის, რადგან ის რუსეთისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი „თბილი წყლის“ პორტია (Alan Yuhas and Raya Jalabi, 2014). კიევი, აგრეთვე წარმოადგენს მოსკოვის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორს.

ენერგეტიკის სფეროში ის არამხოლოდ რუსული გაზის მომხმარებელია, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ბილიკს დასავლური ბაზრებისაკენ.

საყურადღებოა აგრეთვე ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მნიშვნელობაც. „ცივი ომის“ დასასრულის შემდეგ, კალინინგრადის ოლქმა, რომელიც წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიას ბალტიის ზღვაში და ხმელეთით ესაზღვრება პოლონეთსა და ლიეტუვას, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. იგი მდებარეობს ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ზურგში და კონფლიქტის შემთხვევაში გადაწყვეტ როლს შეასრულებს, განსაკუთრებით იმ გარემოებებში რომ ოლქი ძალზედ მილიტარიზებულია (Gao, 2018).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც a priori არ განაპირობებს რუსულ აგრესიას. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ რუსეთი სამხედრო ძალას იყენებს ეთნიკური რუსებისა და მისი მოქალაქეების დასაცავად, რომელსაც პუტინი და მისი გარემოცვა ამ შინაარსის მქონე განცხადებებით კიდევ უფრო აძლიერებს (Coalson, 2014). აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში ეთნიკური რუსები წარმოადგენენ უდიდეს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს, თუმცა ამ ქვეყნების მიმართ სამხედრო აგრესიისთვის მოსკოვს არ მიუმართავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეთნიკურად რუსები მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებს წარმოადგენენ (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016) (განსხვავებით ბალტიისპირეთისაგან), სამხედრო აგრესიის მეთოდს კრემლმა მაინც მიმართა და თავი სწორედ თანამემამულეთა დაცვის ვალდებულებით გაიმართლა.

როგორც ჩანს, ჩვენ მიერ განხილული არგუმენტები საქართველო-უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქეისების განსხვავებებს ვერ ხსნის.

ლეგიტიმაციის შესაძლებლობა

2007 წელს პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი აუცილებლად იმოქმედებს საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში (Путин, 2007). დღეს, მოსკოვის საგარეო პოლიტიკაზე დაკვირვების შედეგად, შესამჩნევია, რომ კრემლი ნამდვილად ყოველთვის ცდილობს, გაამართლოს საკუთარი ქმედებები საერთაშორისო სამართლის

ნორმებით (თუმცა, ცალკე მსჯელობის საკითხია რამდენად სრულყოფილია ეს არგუმენტები) ან უკვე არსებული პრეცედენტებით. როგორც წესი, ის არ დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც არ იძლევა სამართლებრივად გამართლების ხელჩასაჭიდ საშუალებას. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი შემთხვევები, მაგალითად: საქართველოზე განხორციელებული აგრესიის გასამართლებლად მოსკოვი დაეყრდნო მშვიდობიანი მოსახლეობისა და რუს სამშვიდობოთა კონტინგენტის დაცვას, ყირიმის ანექსიის შემთხვევაში-ადგილობრივი მოსახლეობის სურვილს, რეფერენდუმის საფუძველზე შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას, სირიაში განხორციელებული სამხედრო კამპანიის შემთხვევაში- სირიის პრეზიდენტ ასადის თხოვნას პუტინისთვის, გაეწია სამხედრო დახმარება, ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე. წ. დამოუკიდებელ სახელწმიფოებად აღიარებისას დაეფუძნა უკვე არსებულ კოსოვოს პრეცედენტს და სხვ.

რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „ახლო სამეზობლოში“ თავისი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტად აქტიურად იყენებს ე. წ. გაყინულ კონფლიქტებს. ამას მოწმობს პოსტ-საბჭოთა სივრცეზე არსებული მოუგვარებელი კონფლიქტების მთელი რიგი ჩამონათვალი: მთიანი ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამ შემთხვევების ნუსხას უკანასკნელ წლებში ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტიც დაემატა. როგორც ვხედავთ, მოუგვარებელმა კონფლიქტებმა თავი იჩინა იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობდა ავტონომიური წარმონაქმნები.

ხშირია თვითგამორკვევის უფლების მრავალგვარი ინტერპრეტირება (განსაზღვრული კონკრეტიკის არარსებობის გამო წარმოადგენს დავის მუდმივ საგანს) და ავტონომიური წარმონაქმნებით მანიპულირება, რაც არაერთგზის გამოუყენებია რუსეთს, რათა სამართლებრივ ან მორალურ ჩარჩოებში მოექცია თავისი ქმედებები.

თავი 6. რუსეთის საგარეო პოლიტიკა რეალიზმის ჭრილში

1946 წელს „გრძელ დეპეშაში“ ამერიკელმა დიპლომატმა ჯორჯ კენანმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით, რუსეთი (სსრკ) ტრადიციულად დაუცველობის გრძნობით არის შეპყრობილი. იგი გამოწვეულია ძლიერი და კონკურენტუნარიანი სახელწმიფოების მიმართ შიშითა და საკუთარი მმართველობის ფორმის სისუსტის აღქმით (Kennan, 1946, p. 5). მოგვიანებით კენანს დაეთანხმნენ სხვა მკვლევრებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ კრემლის ექსპანსიონიზმს სწორედ ეს დაუცველობის შეგრძნება განაპირობებდა (Olga Oliker, Christopher S. Chivvis, Keith Crane, Olesya Tkacheva, Scott Boston, 2015, p. 4). საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, რუსეთის დაუცველობის განცდა კიდევ უფრო გაზარდა ისტორიულად მისივე ზეგავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების მოსკოვის ქოლგის გარეთ აღმოჩენამ და საერთაშორისო არენაზე პოზიციების დაკარგვამ.

საგარეო პოლიტიკაში რეალიზმი გულისხმობს აბსოლუტური სუვერენიტეტის გაგებას. რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფო ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს, რაციონალურ გათვლასა და მის პოტენციალს, რომლის გაზრდაც მუდმივად სურს მას. ეს მიდგომა ზუსტად ასახავს რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს.

მთლიანობაში რეალიზმის ყველა მიმდევარი თანხმდება იმაზე, რომ რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე იბრძვის მეტი გავლენის მოპოვებისთვის. განხილვის საგნად რჩება ის, თუ რა წარმოადგენს სიძლიერის და გავლენის ინდიკატორებს. ასეთებად ტრადიციულად მიიჩნევენ ეკონომიკურ, ფინანსურ და სამხედრო რესურსებს.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებელია რბილი ძალის ინსტრუმენტების აღნიშვნა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მოსკოვის მისწრაფება, მოიპოვოს საერთაშორისო აღიარება, რადგან რუსეთის საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია იმაზე, კმაყოფილია თუ არა მისი საერთაშორისო სტატუსით; თუკი კრემლი უკმაყოფილოა, ის იწყებს არსებული საერთაშორისო წყობის გადახედვას (WEBER, 2016). ვლადიმერ პუტინმა 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის გადახედვის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ რუსეთისთვის მიუღებელია ცივი ომის

დასრულების შედეგად დამყარებული უნიპოლარული წყობა, სადაც არსებობს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების მიღების ცენტრი (Путин, 2007). ამ გამოსვლიდან 1 წელიწადში რუსეთი საქართველოში შეიჭრა.

რეალისტების ნაწილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემთხვევას განიხილავს აშშ-რუსეთის გლობალური და რეგიონული დაპირისპირების ჭრილში. უფრო მეტიც, მათი აზრით, რუსეთის აგვისტოს ქმედებები წარმოადგენს აუცილებელ და გარდაუვალ პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე, რომელიც გულისხმობს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის რეგიონული ჰეგემონობის დაუშვებლობას, და მიზნად ისახავდა მისი რეგიონული პოზიციის დაცვასა და საერთაშორისო ანარქიულ სისტემაში გადარჩენას (Kropatcheva, 2018, გვ. 50).

ცნობილი მოაზროვნე ჯონ მირშაიმერი რუსეთის ქმედებებს საქართველოსა და უკრაინაში ხსნის კრემლის თავდაცვითი რეაქციით დასავლეთის პოლიტიკის მიმართ. თავის სტატიაში „Why the Ukraine Crisis is the West's Fault" მირშაიმერი წერს, რომ ევროკავშირისა და ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება დიდ შეცდომას წარმოადგენს, რადგან საკმაოდ ლოგიკურია, რომ რუსეთი შეეცდებოდა მისი მოსაზღვრე ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების აღმოფხვრას.

თავი 6.1 სვანტე კორნელის თეზისი და კრემლის პოლიტიკა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორნელის მოსაზრებით, ქვეყანაში ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა ზრდის მესამე მხარის ჩარევის რისკს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი უმცირესობის ჯგუფი და მესამე მხარე ერთმანეთთან დაკავშირებული არიან. როგორც წესი, ავტონომიის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს კონკრეტულ ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფის კომპაქტური დასახლება. ამასთან, ეს ჯგუფი უნდა წარმოადგენდეს ამ არეალში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას. ავტონომიის მინიჭების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ის, რომ შესაბამის ეთნიკურ უმცირესობას მსოფლიოში ერი-სახელმწიფო არ უნდა გააჩნდეს (ხუბუა, 2000).

მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებს უჩნდებათ ტერიტორიული ავტონომიის მოპოვების ან სეცესიის სურვილი. მკვლევრების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ

კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობისთვის რეგიონული ავტონომიის მინიჭება; მიიჩნევენ, რომ ასეთი გზა წარმოადგენს საუკეთესო კომპრომისს, რომლის მოპოვება შეიძლება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ეთნიკურ ჯგუფს შორის. თუმცა, როგორც წესი, ცენტრალური მთავრობები იძულებული არიან მიმართონ ასეთ ხერხს, რადგან თავად ეშინიათ, რომ უმცირესობათა ჯგუფისთვის ტერიტორიული ავტონომიის მინიჭება იქნება პირველი ნაბიჯი საბოლოო სეცესიისაკენ. აგრეთვე, არსებობს შესაძლებლობა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება სხვა ჯგუფების მიერ აღქმული იქნება დისკრიმინაციად.

ეთნიკური ხასიათის კონფლიქტები საერთაშორისო საზოგადოების თავის ტკივილად იქცა. ისტორია გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტები, როგორც წესი, ყველაზე სისხლისმღვრელია. სსრკ დაშლის შედეგად, პოსტ-საბჭოთა სივრცე სეპარატისტულმა კონფლიქტებმა მოიცვა. აღნიშნული კონფლიქტების ფესვები საბჭოთა მემკვიდრეობასა და მის ეთნო-ფედერალისტურ სტრუქტურას უკავშირდება. ბოლშევიკებს, საბჭოთა კავშირის საზღვრების დადგენის პროცესში, მიზანი ჰქონდათ, რომ ჩამოეყალიბებინათ ეთნო ფედერალისტური სტრუქტურა, რომელშიც ადმინისტრაციული საზღვრები თანხვედრაში იქნებოდა ეთნიკურ საზღვრებთან, თუმცა, ისეთ რეგიონებში, სადაც ფაქტობრივად არ არსებობდა ეთნიკური უმრავლესობა, ეს შეუძლებელი იყო. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო 15 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომლებიც პოზიციების დაქვეითების მიზნით დაყოფილი იყო ავტონომიურ ერთეულებად (Freni, 2013).

სეპარატისტულ კონფლიქტებში რუსეთის ჩართულობა წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არსენალის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. მისი სამხედრო შესაძლებლობების, ეკონომიკური წონისა და დიდი ზომის გათვალისწინებით, რუსეთი რჩება მნიშვნელოვან რეგიონულ ძალად, რომელიც მხარდაჭერას უწევდა სეცესიონისტურ რეგიონებს პოსტ-საბჭოთა სივრცეზე.

რუსეთის მიერ სეცესიონისტურ ძალებისათვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების განხილვისას, ძალიან მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. როგორც მოსკოვის პრაქტიკამ აჩვენა, სეპარატისტული

ძალები მოსკოვისთვის წარმოადგენდა შესაძლებლობას, შეეჩერებინა პროდასავლური ორიენტაცია უსაფრთხოების მიმართულებით. ის სახელმწიფოები, რომლებშიც რუსეთი სეპარატისტულ მოძრაობებს უწყობდა ხელს, იყვნენ რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლისა და ევროპასთან და აშშ-სთან დაახლოების პროცესში. შესაბამისად, რუსეთი ცდილობდა, რომ სეპარატისტული რეგიონების საკუთარი გავლენისა და კონტროლის ქვეშ მოქცევითა და შენარჩუნებით ეს სახელმწიფოები ნაკლებად მიმზიდველი გაეხადა დასავლეთისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველომ, აზერბაიჯანმა და მოლდოვეთმა დსთ-ს უსაფრთხოების პაქტს ხელი მოაწერეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარუმატებლობა განიცადეს სეპარატისტული რეგიონების მათი კონტროლის ქვეშ დაბრუნების ბრძოლაში. კრემლი აფერხებს პროგრესს იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც არალეგიტიმურად გამოეყვნენ სეპარატისტული რეგიონები, რითაც ხელს უშლის მათ, მიიღონ დასავლური ინსტიტუტების წევრობა. შესაბამისად, კრემლი სეპარატისტულ რეგიონებს ასევე იყენებს როგორც მექანიზმს კორუფციისა და კრიმინალის გასავითარებლად (Robert Orttung and Christopher Walker, 2015).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ყველანაირად ცდილობდა, შეერნარჩუნებინა მისი გავლენა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე. ყველაზე აქტიურად მოსკოვი იყენებდა საბჭოთა კავშირის მიერ ინსტიტუციონალიზებულ და გაძლიერებულ დაპირისპირებასა და დაყოფას ეთნიკურ ჯგუფებს შორის. საბჭოთა კავშირის დასუსტებასთან ერთად, გაძლიერდა დაყოფა და მობილიზაცია ეთნიკური ნიშნით, რაც საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გარდაიქმნა ფართომასშტაბიან ძალადობრივ დაპირისპირებად. რუსეთის დახმარებით პროცესები გადაიზარდა სეპარატისტულ ომში, რომლის შედეგად დამყარდა დე-ფაქტო ავტონომიური მართველობა. იქედან გამომდინარე, რომ სეპარატისტულ რესპუბლიკებზე აღარ ვრცელდება ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია, რუსეთს მანდ მოქმედების კარდბლანში ექმნება.

შედეგად, როგორც წესი, რუსეთი ახორციელებს „პასპორტიზაციის“ პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც სეპარატისტულ რეგიონთან უჩნდება დიდი სამართლებრივი კავშირი და მისი მოქალაქეების დაცვის ვალდებულება. რუსეთი ყოველთვის ცდიოლობს რაციონალურად შეარჩიოს პოლიტიკური სვლები, რომ საერთაშორისო

საზოგადოების წინაშე შეინარჩუნოს სახე და მისი ქმედებებს ხსნის არათუ საგარეო პოლიტიკური თუ სტრატეგიული მოტივებით, არამედ მორალური ვალდებულებებით. ყირიმშიც ჯერ 2014 წლის 11 მარტს გამოცხადდა ე. წ. დამოუკიდებლობა, ხოლო ამის შემდეგ უკვე ჩატარდა რეფერენდუმი რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პუტინმა შეიქმნა შესაძლებლობა, ეთქვა, რომ რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის შესვლა წარმოადგენს დამოუკიდებელი ხალხის სუვერენული უფლების გამოხატულებას.

გამომდინარე იქედან, რომ რუსეთი რაციონალური აქტორია, ის ყოველთვის დგამს ისეთს ნაბიჯებს, რომელიც მას მომგებიან პოზიციაში აყენებს. კრემლი ყოველთვის იყენებს იმგვარ არგუმენტებს, რომელთა მეშვეობით საკუთარ თავს მორალურ უპირატესობაში აყენებს. რომ არ ყოფილიყო საქართველოსა და უკრაინაში ავტონომიური წარმონაქმნები, რუსეთს თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად გაუჭირდებოდა ამოცანის გადაჭრის სარფიანი გზის შერჩევა, რადგან გართულდებოდა „მორალურად გამართლებული“ ამხსნელი ფაქტორების მოძიება. სწორედ ეს მოხდა ბალტიის ქვეყნების შემთხვევაში- იქ არსებობდა ეთნიკური მოსახლეობა, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ეთნიკური ნიშნით დაყოფა/განსხვავება არ იყო ინსტიტუციონალიზებული, არ არსებობდა ავტონომიები, რომლებსაც ეყოლებოდა რუსეთთან შეკავშირებული ადგილობრივი ხელისუფლება, რუსეთმა ვერ განახორციელა მათზე იმგვარი ზემოქმედება, როგორიც ეს საქართველოსა და უკრაინაში მოხდა.

თავი 7. დასკვნა

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა დაიწყო გაფართოება აღმოსავლეთით. დღეისათვის ნატო-ს წევრთა რაოდენობა 29-ს შეადგენს, რომელთა შორის არიან ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და უშუალოდ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიც (ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი). თითოეული გაფართოების ტალღის შედეგად, ნატო სულ უფრო და უფრო უახლოვდება რუსეთის საზღვრებს. კრემლში ფიქრობენ, რომ ნატო-ს გაფართოება მიზნად ისახავს მოსკოვის ალყაში მოქცევას და მის ეტაპობრივ „გაგუდვას“. სწორედ ამიტომ რუსეთი ნატო-ს გაფართოებას ეჭვის თვალით უყურებს.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ განხორციელდა ნატო-ს გაფართოების 4 ტალღა. თითოეულ მათგანს კრემლი საკმაოდ აგრესიული რიტორიკით შეხვდა, თუმცა ვითარების ესკალაცია არც ერთ მათგანს არ მოყოლია. ვითარება დაიძაბა მას შემდეგ, რაც ნატო-ს წევრობის დაპირება საქართველომ და უკრაინამ- პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებმა- მიიღეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე. ამ სახელმწიფოების ალიანსში გაწევრიანების აღკვეთის მიზნით კრემლმა ძალადობრივ მეთოდებს მიმართა.

2008 წელს რუსეთის ქვედანაყოფები საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ და მხარი დაუჭირეს სეპარატისტულ რეგიონებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარე მოქმედებებში. აღნიშნული სამხედრო ოპერაციით მოსკოვი ეცადა, ნაკლებად მიმზიდველი გაეხადა საქართველო ნატო-სთვის, დაესუსტებინა მისი სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობები და აღეკვეთა მისი გაწევრიანების პესპექტივა ნატო-ში. 2014 წელს მოსკოვმა არალეგიტიმური რეფერენდუმის ჩატარების შედეგად, მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, რომლის პარალელურად აწარმოებდა ფარულ ოპერაციებს აღმოსავლეთ უკრაინაში. აღნიშნული ქმედებები განაპირობა პრორუსული პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ჩამოგდებამ, პროდასავლური ხელისუფლების არჩევამ და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დადების სურვილმა. მოსკოვს გაუჩნდა ეჭვი, რომ თუკი კიევი დაუბრუნდა ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხს, ის აუცილებლად დაუბრუნდებოდა ნატო-ში გაწევრიანების გზასაც, რაც მის სტრატეგიულ ინტერესებს

უდიდეს დარტყმას მიაყენებდა (ყირიმის პორტის ნატო-ს ძალების დაქვემდებარებაში აღმოჩენის გამო).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და უკრაინის შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია ნატო-ში უშუალო გაწევრიანებას, არამედ მხოლოდ გაწევრიანების პერსპექტივებს განუსაზღვრელ მომავალში, რუსეთმა მაინც მიმართა უკიდურეს ზომებს ამ ქვეყნების წინააღმდეგ, ბალტიის სახელმწიფოების შემთხვევებისგან განსხვავებით, როდესაც ალიანსს ისინი 2004 წელს შეუერთდნენ, რუსეთი კი მხოლოდ ნეგატიური განცხადებებით შემოიფარგლა. მაშინ როდესაც ეს ქვეყნები, საქართველოსა უკრაინის მსგავსად, რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებს წარმოადგენენ, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და მანამდე რუსეთის იმპერიის უღელის ქვეშ იმყოფებოდნენ და რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროდ მოიაზრებიან, ხოლო რეალიზმი მის მიმდევარ მოსკოვს ეროვნული ინტერესების დასაცავად უფრო აქტიური პოლიტიკის გატარებას კარნახობდა.

განსხვავება რუსეთის ქმედებებს შორის აიხსნება არათუ ამ სახელმწიფოების სტრატეგიული მნიშვნელობით ან რუსეთის იმდროინდელი ეკონომიკური შესაძლებლობებით, არამედ იმით, რომ საქართველოსა და უკრაინაში ავტონომიური ერთეულების არსებობა კრემლის მხრიდან გამოყენებული იყო შიდა კონფლიქტების ხელშემწყობ და მისი აგრესიული ქმედებების ლეგიტიმაციის მექანიზმად. ბალტიის ქვეყნების ძალით შემოერთება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოხდა 1940 წელს, ანუ გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე ბოლშევიკების მიერ განხორციელდა საზღვრების გავლებისა და ე. წ. ნელი მოქმედების ნაღმების ჩადების პროცესი.

ავტონომიურ წარმონაქმნებს აქვთ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც მანიპულირება მესამე ძალას შეუძლია, და სადაც რუსეთი, როგორც წესი, აპელირებს ნაციონალისტური ნარატივით, აღვივებს შუღლსა და მტრობას ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. რუსეთს გაუჭირდებოდა ბალტიის ქვეყნებში მისი ჩარევის/სამხედრო აგრესიის ლეგიტიმური საფუძვლის პოვნა (რაც მისი საგარეო პოლიტიკური მიზნების იმპლემენტაციისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს), რადგან პრორუსული ძალები საკმაოდ მცირერიცხოვან ნაწილს წარმოადგენენ და პოლიტიკურად პასიურები არიან. ეს ჯგუფები ბალტიის ქვეყნებში,

დასავლურ სტრუქტურებში ყოფნით გაცილებით მეტ სარგებელს ხედავენ (ეკონომიკა, თავისუფალი მიმოსვლა,), ვიდრე ამის უზრუნველყოფა რუსეთს შეუძლია მათთვის.

გამომდინარე იქედან, რომ ბალტიის ქვეყნებში არ არსებობდა ავტონომიები როგორც დესტაბილიზაციის მექანიზმი და ლეგიტიმური საბაბი, პუტინმა არ ჩათვალა მომგებიანად ამ ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების აღმოფხვრა/გადავადება ძალისმიერი მეთოდებით. თუმცა გაწევრიანების შემდგომ ამ ქვეყნების დისკრედიტირების მიზნით ის პერიოდულად მიმართავს არაკონვენციურ მეთოდებს, როგორიცაა კიბერ შეტევები, ანტი-დასავლური პროპაგანდა.

გამოყენებული ლიტერატურა

A SHORT HISTORY OF NATO. (n.d.). Retrieved from NATO: https://www.nato.int/cps/us/natohq/declassified_139339.htm

Alan Yuhas and Raya Jalabi. (2014, March 7). *Ukraine crisis: why Russia sees Crimea as its naval stronghold*. Retrieved May 13, 2019, from The Guardian: https://www.theguardian.com/world/2014/mar/07/ukraine-russia-crimea-naval-base-tatars-explainer

Alistair Scrutton, David Mardiste. (2017, February 24). *Wary of divided loyalties, a Baltic state reaches out to its Russians*. Retrieved May 20, 2019, from Reuters World News: https://www.reuters.com/article/us-baltics-russia/wary-of-divided-loyalties-a-baltic-state-reaches-out-to-its-russians-idUSKBN1630W2

B92. (2008, July 1). *Russia opposes Croatian NATO entry*. Retrieved from B92: https://www.b92.net//eng/news/region.php?yyyy=2008&mm=07&dd=11&nav_id=51837

BBC. (2010, June 3). *Ukraine's parliament votes to abandon Nato ambitions*. Retrieved May 22, 2019, from BBC: https://www.bbc.com/news/10229626

BBC. (2013, November 29). *EU summit shows no sign of reviving Ukraine deal*. Retrieved May 22, 2019, from BBC: https://www.bbc.com/news/world-europe-25134682

BIELEWICZ, M. (2009). The Eastern Perspective: Russia Towards NATO Enlargement. A Case Study of 1999 and 2004 NATO Enlargements. *ROCZNIK BEZPIECZEŃSTWA MIĘDZYNARODOWEGO*, 145-151.

Bush, G. W. (2004, March 29). *US President George W. Bush at the NATO Accession Ceremony*. Retrieved from NATO online library: https://www.nato.int/docu/speech/2004/s040329b.htm

CENTER FOR STRATEGIC ASSESSMENT AND FORECASTS. (2017, November 10). *Three-dimensional strategy "Anaconda" or the plans of the West and "suffocation of the Putin regime"*. Retrieved from CENTER FOR STRATEGIC ASSESSMENT AND FORECASTS: http://csef.ru/en/oborona-i-bezopasnost/340/trehmernaya-strategiya-anakonda-ili-plany-zapada-po-udusheniyu-rezhima-putina-8095

Chandra, V. (2017). Neoclassical realist theory of international politics,Strategic Analysis. In J. W. Norrin M. Ripsman, *Strategic Analysis* (pp. 297-299). Routledge, Taylor and Francis Group.

Chemla, N. (2019, March 26). *BALTIC STATES' RUSSIAN DISQUIET*. Retrieved from The New Federalist: https://www.thenewfederalist.eu/baltic-states-russian-disquiet

Cheskin, A. (2015). Identity and integration of Russian speakers in the Baltic states: a framework for analysis. *Ethnopolitics*, 72-93.

Coalson, R. (2014, April 10). *Putin Pledges To Protect All Ethnic Russians Anywhere. So, Where Are They?* Retrieved from Radio Free Europe Radio Liberty: https://www.rferl.org/a/russia-ethnic-russification-baltics-kazakhstan-soviet/25328281.html

Cohen, A. (2009, February 6). *GEORGIA: RUSSIA PLANS THREE MILITARY BASES IN ABKHAZIA*. Retrieved from GFSIS: https://www.gfsis.org/media/download/GSAC/Articles/RUSSIA_PLANS_THREE_MILITARY_BASES_IN%20ABKHAZIA.pdf

Copeland, D. C. (2000). *The Constructivist Challenge to Structural Realism: A Review Essay.* Cambridge: The MIT Press.

Cornell, S. (2002). Autonomy as a Source of Conflict: Caucasian Conflicts in Theoretical Perspective. *World Politics*, 245-276 .

Dr. Jiri and Leni Valenta. (2018). *Russia's Strategic Advantage in the Baltics: A Challenge to NATO?* Ramat Gan: THE BEGIN-SADAT CENTER FOR STRATEGIC STUDIES BAR-ILAN UNIVERSITY.

Freni, S. (2013). Causes of Violent Conflict in the Caucasus Since the Collapse of Communism. *Inquiries Journal/Student Pulse*.

Frost, M. (1999, March 9). *NATO: Russia Not Happy About Expansion*. Retrieved May 13, 2019, from Radio Free Europe Radio Liberty: https://www.rferl.org/a/1090795.html

Gao, C. (2018, May 25). *NATO's Worst Nightmare: Russia's Kaliningrad Is Armed to the Teeth*. Retrieved May 13, 2019, from National Interest: https://nationalinterest.org/blog/the-buzz/natos-worst-nightmare-russias-kaliningrad-armed-the-teeth-25958

Gidadhubli, R. G. (2004). Expansion of NATO: Russia's Dilemma. *Economic and Political Weekly*, 1885-1887.

Grimsley, S. (n.d.). *Rational Choice Theory: Definition & Principles.* Retrieved from Study.com: https://study.com/academy/lesson/rational-choice-theory-definition-principles.html#transcriptHeader

HALTIWANGER, J. (2017, November 16). *PUTIN WANTS TO REBUILD SOVIET UNION, FORMER HEAD OF BRITISH ARMY WARNS*. Retrieved May 13, 2019, from Newsweek: https://www.newsweek.com/putin-wants-rebuild-soviet-union-former-head-british-army-warns-714301

Hamilton, R. (2008, August 14). *Russia's Strategy in the War Against Georgia*. Retrieved from Center for Strateic & International Studies: https://www.csis.org/analysis/russias-strategy-war-against-georgia

Joanna Ligenzowska, Jakub Piecuch. (2015). *NATIONAL MINORITIES INTEGRATION IN THE BALTIC STATES.* Studia Ekonomiczne. Zeszyty Naukowe Uniwersytetu Ekonomicznego w Katowicach.

JUKIC, L. (2019, February 20). *How Russia Keeps Post-Soviet States In Its Orbit*. Retrieved May 23, 2019, from Palladium: https://palladiummag.com/2019/02/20/how-russia-keeps-post-soviet-states-in-its-orbit/

JULIA GURGANUS, EUGENE RUMER. (2019, FEBRUARY 20). *Russia's Global Ambitions in Perspective*. Retrieved June 6, 2019, from Carnegie Endowment for International Peace: https://carnegieendowment.org/2019/02/20/russia-s-global-ambitions-in-perspective-pub-78067

Kennan, G. F. (1946). *Long Telegram.* Moscow: Department of State.

Kissinger, H. (2015). *World Order .* New York : Penguin Publishing Group.

KONOŃCZUK, W. (2014, March 13). *Russia's Real Aims in Crimea*. Retrieved from Carnegie Endowment for International Peace: https://carnegieendowment.org/2014/03/13/russia-s-real-aims-in-crimea-pub-54914

Kozhokin, E. M. (1996). Georgia-Abkhazia. *RAND Corporation*.

Kropatcheva, E. (2018). POWER AND NATIONAL SECURITY. In A. P. Tsygankov, *Routledge Handbook of Russian Foreign Policy* (pp. 43-59).

Lithuania MFA. (2015, July 29). *Chronology of Events*. Retrieved from https://nato.mfa.lt/nato/en/lithuania-nato/chronology-of-events

Lobell, S. (2016). Realism, Balance of Power, and Power Transitions. In T. V. Paul, *Accommodating Rising Powers: Past, Present, and Future* (pp. 33-52). Cambridge University Press.

Matthieu Chillaud, Frank Tetart. (2007). The Demilitarization of Kaliningrad: A 'Sisyphean Task'? *Baltic Security & Defence Review*, 171-186.

Mearsheimer, J. (2001). *The Tragedy of Great Power Politics.* New York: W.W.. Norton & Company.

Mearsheimer, J. J. (2009). Reckless States and Realism. *International Relations*, 241-256.

Mearsheimer, J. J. (2014). Why the Ukraine Crisis Is the West's Fault. *Foreign Affairs*, 1-12.

Menabde, G. (2019, May 20). *Russia Tries to Bog Down the Anaklia Deep Sea Port Project*. Retrieved from Eurasia Daily Monitor: https://jamestown.org/program/russia-tries-to-bog-down-the-anaklia-deep-sea-port-project/

Michael Kofman, Katya Migacheva, Brian Nichiporuk,Andrew Radin, Olesya Tkacheva, Jenny Oberholtzer. (2017). *Lessons from Russia's Operations in Crimea and Eastern Ukraine.* RAND Corporation.

Minorities at Risk Project. (2004). *Chronology for Crimean Russians in Ukraine*. Retrieved from UNHCR The Un Refugee Agency: https://www.refworld.org/docid/469f38ec2.html

NATO. (2019, February 15). *Enlargement*. Retrieved from NATO: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49212.htm

NBC News. (2009, April 1). *Albania, Croatia become NATO members* . Retrieved from NBC News: http://www.nbcnews.com/id/29995397/ns/world_news-europe/t/albania-croatia-become-nato-members/#.XQP9k9IzbDc

North Atlantic Council . (2008, April 3). *Bucharest Summit Declaration*. Retrieved from NATO: https://www.nato.int/cps/us/natohq/official_texts_8443.htm

Olga Oliker, Christopher S. Chivvis, Keith Crane, Olesya Tkacheva, Scott Boston. (2015). Russian Foreign Policy in Historical and Current Context. *RAND Corporation, Perspective-Expert insights on a timely policy issue*.

Otskivi, M. (2016). *THE POSSIBLE RUSSIAN THREAT TOWARDS THE BALTIC STATES AND NATO'S ROLE IN IT.* Tallin: TALLINN UNIVERSITY OF TECHNOLOGY.

Patrick Wintour, Ian Traynor and Tom Whitehouse. (1999, June 13). *Russian and British troops in tense Pristina stand-off*. Retrieved May 13, 2019, from The Guardian: https://www.theguardian.com/world/1999/jun/13/balkans5

Popovici, A. (2018, August 30). *Why Russia Wants Crimea*. Retrieved from History: https://www.history.com/news/crimea-russia-ukraine-annexation

Puheloinen, A. (1999). *RUSSIA'S GEOPOLITICAL INTERESTS IN THE BALTIC AREA.* Helsinki: National Defence Colleg.

Putin, V. (2014, March 18). *Владимир Путин выступил в Кремле перед депутатами Государственной Думы, членами Совета Федерации, руководителями регионов России и представителями гражданского общества.* Retrieved May 22, 2019, from Kremlin: http://kremlin.ru/events/president/news/20603

Rahman, M. S. (2009). Georgia and Russia:What Caused the August War? *Identity, Culture & Politics: An Afro-Asian Dialogue*, 132-146.

Rand Corporation. (2017). *Assessing Russian Reactions to U.S. and NATO Posture Enhancements.* RAND Corporation.

Robert Orttung and Christopher Walker. (2015, February 13). *Russia's attempt to subvert Ukraine cannot, however, be seen in isolation*. Retrieved from Foreign Policy: https://foreignpolicy.com/2015/02/13/putins-frozen-conflicts/

Rossiyskaya Gazeta. (2015, December 15). *Why is Russia opposed to Montenegro joining NATO?* Retrieved from Russia Beyond: https://www.rbth.com/international/2015/12/15/why-is-russia-opposed-to-montenegro-joining-nato_551179

Rühle, M. (2015). *NATO enlargement and Russia: myths and realities*. Retrieved May 13, 2019, from NATO Review magazine: https://www.nato.int/docu/review/2014/Russia-Ukraine-Nato-crisis/Nato-enlargement-Russia/EN/index.htm

Rukhadze, V. (2013, May 23). *Russia Underscores its Military Presence in Georgia's Breakaway Regions*. Retrieved from Eurasia Daily Monitor: https://jamestown.org/program/russia-underscores-its-military-presence-in-georgias-breakaway-regions/

Scekic, R. (2016). GEOPOLITICAL STRATEGIES AND MODERNITY: MULTIPOLAR WORLD OF NOWADAYS . *Liberty and International Affairs*, 84-92.

SCHMEMANN, S. (1992, May 6). *Crimea Parliament Votes to Back Independence From Ukraine*. Retrieved from The New York Times: https://www.nytimes.com/1992/05/06/world/crimea-parliament-votes-to-back-independence-from-ukraine.html

Shinar, C. (2017). Vladimir Putin's Aspiration to Restore the Lost Russian Empire. *European Review*, 642-654.

Sprague, A. (2013). Russian Meddling in its Near Abroad. The Use of Frozen Conflicts as a Foreign Policy Tool. *Student paper series*.

Stratfor. (2014, April 12). *Putting Russia's Crimean Intervention in Context*. Retrieved from Stratfor: https://worldview.stratfor.com/article/putting-russias-crimean-intervention-context?fbclid=IwAR2pY-QbCc2Mge2KCCCDjIsdlQrxt05Z2Q1pRix2HWtiPt0BCSsc6PpuXOE

Suslov, D. (2018). Understanding International Relations Theory. *Realist basis of Russian FP*. National Research University Higher School of Economics.

The New York Times. (1994, January 31). *Separatist Winning Crimea Presidency*. Retrieved from The New York Times: https://www.nytimes.com/1994/01/31/world/separatist-winning-crimea-presidency.html

Utiashvili, T. (2014, June 4). *Why Is a Small State Like Georgia Important for the USA, the EU and Russia?* Retrieved from E-International Relations Students: https://www.e-ir.info/2014/06/04/why-is-a-small-state-like-georgia-important-for-the-usa-the-eu-and-russia/

V. Modebadze, G. Kozgambayeva. (2018). RUSSIA'S GEOPOLITICAL INTERESTS IN GEORGIA (South Caucasus and the Threats Coming From Moscow). *Al-Farabi Kazakh National University JOURNAL*, pp. 27-31.

Waltz, K. N. (1979). *Theory of International Politics.* Berkeley: University of California.

Warsaw Institute. (2018, December 11). *More Information about Montenegro Coup Trial Is Revealed*. Retrieved from Warsaw Institute: https://warsawinstitute.org/information-montenegro-coup-trial-revealed/

WEBER, Y. (2016, March 7). *Are We in a Cold War or Not? 1989, 1991, and Great Power Dissatisfaction*. Retrieved from E-International Relations: https://www.e-ir.info/2016/03/07/are-we-in-a-cold-war-or-not-1989-1991-and-great-power-dissatisfaction/

Wohlforth, W. C. (1994). Realism and the End of the Cold War. *International Security*, 91-129.

Zavada, A. (2017). *THE EXPANSION OF THE NORTH ATLANTIC ALLIANCE (NATO) TO THE EAST AND THE POLICY OF THE RUSSIAN FEDERATION (IN 1990S).*

Zevelev, I. (2016, December). *Russian National Identity and Foreign Policy.* Washington DC: CSIS.

ZORIA, Y. (2019, January 29). *PMC Wagner is a unit of Russian military intelligence, mercs' IDs show – SBU chief*. Retrieved June 28, 2019, from Euromaidan Press: http://euromaidanpress.com/2019/01/29/pmc-wagner-is-a-unit-of-russian-military-intelligence-mercs-ids-show-sbu-chief/

Дубнов, А. (2014). *«Передайте Биллу, что это чудесное решение!» - Источник: http://www.yeltsincenter.ru/author_comment/release/peredaite-billu-chto-eto-chudesnoe-reshenie*.

Retrieved from Ельцин Центр: http://www.yeltsincenter.ru/author_comment/release/peredaite-billu-chto-eto-chudesnoe-reshenie

Зыгарь, М. (2016). *Вся кремлевская рать. Краткая история современной России .* Интеллектуальная Литература .

Путин, В. (2007, February 10). *Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности*. Retrieved May 22, 2019, from Kremlin.ru: http://kremlin.ru/events/president/transcripts/24034

Чумаков, М. (2018, May 28). *Страны Балтии на пути в НАТО (1991 – 2004)*. Retrieved from Деловые Новости: http://delonovosti.ru/analitika/4212-strany-baltii-na-puti-v-nato-1991-2004.html

კამლაძე, დ. (2016, October 25). *საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა.* Retrieved May 13, 2019, from რადიო თავისუფლება: https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-davit-kamladze-saqartvelos-geopolitikuri-mdgomareoba/28075927.html

რუხაძე, ზ. (1999). *საქართველოს კონსტიტუციური სამართალი.* ბათუმი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.* საქსტატი.

ხუბუა, გ. (2000). *ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი.* თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

Ivane Javakhishvili Tbilisi State Universiry

Faculty of Social and Political Sciences

Diplomacy and Foreign Policy Master Program

Russia's activities in response to the prospects of integration of the neighboring states into NATO: Baltic States and Georgia-Ukraine Cases

By

Tamar Samkharadze

The Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of Master in Diplomacy and Foreign Policy

Under the Guidance of Professor Tornike Turmanidze

Tbilisi

2019